ერთიანი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა

საპარლამენტო პროგრამა
2020

სარჩევი

ნინო ბურჯანაძის მიმართვა ---------- 3

ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და გაჯანსაღება ---------- 8

საინვესტიციო გარემო ---------- 8

ეკონომიკური ზრდა ---------- 9

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ---------- 9

საგადასახადო პოლიტიკა ---------- 10

ეროვნული ვალუტა ---------- 10

მეწარმეობა, ბანკები, კრედიტები და იპოთეკარები ---------- 10

ბიუჯეტის ხარჯების ეკონომია ---------- 11

სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი ---------- 11

საჯარო სამსახურის განვითარება ---------- 12

ტურიზმი ---------- 12

სოფლის მეურნეობა ---------- 13

ეროვნული კორპორაცია ---------- 14

პროექტის განვითარების მოდელი ---------- 14

სხვა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივები: ---------- 15

სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის! ---------- 15

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ---------- 16

საკონსტიტუციო ცვლილებები ---------- 16

საარჩევნო სისტემა ---------- 16

თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა ---------- 17

საარსებო მინიმუმი, პენსიები და უმუშევრობის შემწეობები ---------- 18

საშეღავათო სისტემა პანდემიის პერიოდში ---------- 18

ეფექტიანი და სამართლიანი ჯანდაცვა ყველასთვის ---------- 19

სასურსათო უსაფრთხოება ---------- 20

ბავშვთა პრობლემები ---------- 21

ნარკომანიის პრობლემა ყველას ეხება! ---------- 21

დემოგრაფია ---------- 22

პროექტი „ქართული კერა“ ---------- 22

ქალთა პრობლემები ---------- 22

სამოქალაქო ინტეგრაცია ---------- 23

თანაბარი შესაძლებლობები უნარშეზღუდულთათვის! ---------- 23

იძულებით გადაადგილებული პირები (ლტოლვილები) ---------- 24

მცოცავი ოკუპაცია ---------- **24**
ტერიტორიული მთლიანობა ---------- **25**
საგარეო პოლიტიკა ---------- **25**
ძირითადი პრიორიტეტები ---------- 25
სტრატეგიული პარტნიორობა ---------- 26
ევროკავშირი ---------- 26
სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის აუზი ---------- 26
ეროვნული უსაფრთხოება ---------- **27**
თავდაცვის ორგანიზაცია ---------- 28
სხვა საკითხები ---------- **28**
განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი ---------- 28
„მწვანე“ ენერგეტიკა, ეკოლოგია და რესურსების ყაირათიანი გამოყენება ---------- 29
დიასპორა ---------- 31
საგზაო უსაფრთხოება ---------- 31
სათამაშო ბიზნესის რეგულირება ---------- 32
სამოქალაქო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები ---------- 32

ნინო ბურჯანაძის მიმართვა

ძვირფასო თანამემამულენო!

პრინციპული და უდრეკი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ, „ერთიანმა საქართველომ“ ქართველ ხალხთან, ოპოზიციასთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად მოვიპოვეთ დიდი გამარჯვება. ჩვენ მივაღწიეთ პროპორციულთან მიახლოებულ საარჩევნო სისტემას, რომელიც ამომრჩეველს უფრო მეტად აძლევს საშუალებას, თვითონ აირჩიოს, ვის ანდოს ქვეყანა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არის წყალგამყოფი. დღეს ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ გავარღვიოთ მოჯადოებული წრე რომელშიც ქვეყანა 30 წელია ჩაკეტილია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყოველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების მიტაცება ხდებოდა მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის მიერ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ვინ მოვიდოდა ხელისუფლებაში, რადგან ერთპიროვნული მმართველობა მალევე იდგამდა ფესვებს მთავრობაში, პარლამენტში და სასამართლოში.

ოქტომბერში, ჩვენ ამას დავასრულებთ! იწყება ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, რომელშიც ერთიანი საქართველო ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს შეასრულებს. შემდეგი პარლამენტი იქნება მრავალპარტიული. ასეთ პარლამენტში პოლიტიკოსები ერთმანეთის კონკურენტები არიან და ერთმანეთს აბალანსებენ. ისინი პასუხისმგებელნი არიან საზოგადოების და არა ოლიგარქის წინაშე და საზოგადოებრივი წნეხი ჩაანაცვლებს ოლიგარქთან ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებით, ხოლო ავად თუ კარგად დაგროვილი გამოცდილება, უვიც და მონურ მორჩილებას.

ასეთ პარლამენტში ჩვენი გუნდი შეძლებს დაპირებების შესრულებას, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია პროფესიონალების და მცოდნე ადამიანების მხარდამხარ შრომა. ჩვენთვის მისაღებია სხვადასხვა გუნდის პროფესიონალებთან ქვეყნის ინტერესებისთვის ბრძოლა. მეტიც, ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ ერთმანეთთან დაპირისპირებული, განსხვავებული ხედვის ადამიანები საერთო საქმის გარშემო.

ჯერ კიდევ 1000 წლის წინ, ქართული საზოგადოება თავის შეჭირვებულებს „საგლახაკო“ გადასახადს უგროვებდა. ხოლო დღეს, XXI საუკუნეში, ხელისუფალმა ეს ხალხი მიატოვა. საქართველოს მოქალაქის ცხოვრება ისედაც გაუსაძლისი იყო, მსოფლიო პანდემიამ კი მდგომარეობა კიდე უფრო დაგვიმძიმა. კიდევ უფრო გაიზარდა უფსკრული მდიდრებს და ღარიბებს შორის. უთანასწორობა ცხოვრების წესი გახდა. გრძელდება მავთულხლართების გავლება ჩვენ ისტორიულ მიწებზე, ხოლო აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე აღარავინ ზრუნავს.

მომდევნო პარლამენტში გამოუცდელი პოლიტიკოსების, შეცდომების და ექსპერიმენტების დრო აღარ იქნება. მსოფლიო დგას პანდემიის წინაშე და განვითარებული ქვეყნებიც კი, უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე არიან. უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ჩვენ აზერბაიჯანელ და სომეხ მეზობლებს შორის, ხოლო ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან და დასავლეთთანაც კი, დღითიდღე უარესდება. ახლა, როგორც არასდროს, ქვეყანას სჭირდება თავდაჯერებული, კომპეტენტური და პროფესიონალი გუნდი, რომელიც შეძლებს ამ ვითარებაში ეროვნული ინტერესების ღირსეულად დაცვას.

ქართული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებია:

- ✓ ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.
- ✓ საკუთარი მოქალაქეების შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- ✓ ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობა.

საქართველოს ეროვნული ინტერესებია:

- ხალხის ეკონომიკური, სოციალური და სულიერი კეთილდღეობის რეალური უზრუნველყოფა; ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის მიღწევა; სოციალური სამართლიანობის დამყარება და გაღრმავება.
- ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და განმტკიცება; აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ნდობისა და ჩატეხილი ხიდების აღდგენა.
- სუვერენიტეტის განმტკიცება; მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება.
- ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობის დამკვიდრება; სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და ხელისუფლების შტოებს შორის რეალური ბალანსის შექმნა; ეფექტიანი მართვისა და კონტროლის მექანიზმების შექმნა.
- ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების დაცვა და ჯანსაღი, პროგრესული თანამედროვე ტენდენციების მხარდაჭერა.
- თითოეული ჩვენი თანამემამულის ეთნიკური, კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის პატივისცემა, თვითრეალიზაციისთვის თანაბარი პირობების შექმნა აბსოლუტურად ყველასთვის.
- ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის მიღწევა.

საქართველო შიდა და გარე საფრთხეების წინაშე დგას:

სახელმწიფო არსებობს ადამიანისთვის და არა ადამიანი სახელმწიფოსთვის! ჩვენ გვჭირდება ძლიერი ქვეყანა და მდგრადი განვითარება, თუმცა ძლიერი სახელმწიფო არ ნიშნავს ძალმომრეობას. სახელმწიფოს ძალა ეროვნულ თანხმობასა და საყოველთაო კეთილდღეობაშია. მხოლოდ სამართლიანი სახელმწიფო შეიძლება იყოს სტაბილური და წარმატებული!

ერთი ადამიანის მიერ თავს მოხვეულმა ფეოდალურმა მმართველობამ, მოშალა სახელმწიფო ინსტიტუტები, ხოლო დანაშაულებრივი „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკამ გამოიწვია დამძიმებული კრიმინოგენული სიტუაცია ქვეყნის შიგნით, და ჩვენი მოქალაქეების დაუცველობა ეგრედ წოდებულ საზღვრებთან. ჩვენი მოქალაქეები ქუჩაში თავს დაუცველად გრძნობენ, კონფლიქტურ ზონებთან მცხოვრები მოსახლეობა კი ლეკიანობის ეპოქაში დააბრუნეს.

შიდა საფრთხეების დასაძლევად, ქვეყანას სჭირდება გამოცდილი ლიდერი, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დადგება საკუთარ ემოციებზე მაღლა. ქვეყნის გარეთ კი საჭიროა ავტორიტეტული ლიდერი , როგორც მეგობრებთან, ასევე ნეიტრალურად განწყობილ ან მოწინააღმდეგე ძალებთან, რომლის სიტყვა და პოზიცია, თუ გადამწყვეტი არა, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს ყველასთვის, როგორც მოკავშირეებისთვის, ასევე ქვეყნის ოპონენტებისთვის.

ნინო ბურჯანაძე არის ის ადამიანი ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც აქვს არა მხოლოდ გამბედაობა ელაპარაკოს რუსეთის ფედერაციის ლიდერებს, არამედ ცოდნა, უნარი და პირადი კონტაქტები იმ დონის პოლიტიკოსებთან, რომლებიც განსაზღვრავენ კავკასიის უახლოესი მომავლის პოლიტიკას. ერთიანი საქართველოს ლიდერს აქვს რეპუტაცია ადამიანის, რომელთანაც მოლაპარაკების შემთხვევაში,

სიტყვა საქმედ იქცევა. ის არის ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც იცნობენ და ანგარიშს უწევენ მსოფლიო პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში, რუსეთში, პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

წინა და დღევანდელ მმართველთა უგუნურებით საქართველოს სერიოზული ზიანი მიადგა.

კერძოდ:

- სიღარიბის დონე და მასშტაბები იზრდება. ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა რჩება.
- სტაგნაციაში მყოფი ეკონომიკა გაჩერდა, და ზრდის ნაცვლად კატასტროფულად მცირდება.
- მკვეთრად არის შესუსტებული საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ხელისუფლება არ გეგმავს და, შესაბამისად, ვერ ატარებს საკუთარ სუვერენულ პოლიტიკას.
- საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების პრესტიჟი და ქართული სახელმწიფოს პოზიციები ნულს გაუტოლდა.
- ჩვენ ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ჯარი და მის მიერ აღიარებული ორი კვაზი-სახელმწიფო განაგრძობს არსებობას, ხოლო ქვეყნის შიგნით მავთულხლართები მოიწევს ქვეყნის შუაგულისკენ.
- სხვა საზღვრებიც მორღვეულია და ოთხო მოსაზღვრე სახელმწიფოსგან, სამ მეზობელთან საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაცია არ დასრულებულა.
- რუსეთთან ერთად სირთულეები და პრობლემები გამოჩნდა აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან ურთიერთობებშიც.
- გაეროს მონაცემებით ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. დარჩენილი მოსახლეობის დიდ ნაწილს კი ლუკმა-პურის საშოვნად ემიგრაციაში წასვლა უწევს.
- განათლება და მეცნიერება კვლავაც დეგრადაციას განიცდის.
- ინფორმაციულ ეპოქაში საინფორმაციო განათლებაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა მხოლოდ ფასადურ ხასიათს ატარებს.
- ეკოლოგიაზე ზრუნვა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებად რჩება. ჰაერის და წყლის ხარისხი კი დღითიდღე უარესდება.
- გიგანტური ჰესები აზიანებს ბუნებას. მათი მშენებლობა არა ენერგეტიკული საფრთხეების გადაწყვეტას, არამედ ოლიგარქის და მასთან დაახლოებული წრის ჯიბის გამსხვილებას ემსახურება.

ეს პროცესები შეუქცევადი არ არის. თუმცა დღეს, სახელმწიფოს მართვის სფეროში დასაქმებულ პირთა უდიდესი ნაწილი სრულად არაკომპეტენტურია, ხოლო მცოდნე პირებს არ ეძლევათ თვითრეალიზაციის საშუალება. გრძელდება ადამიანთა დასაქმება ნათესაობის ან პოლიტიკური ლოიალობის, და არა კომპეტენციის ნიშნით. შედეგად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან ინტელექტუალური ძალების დიდი ნაწილი ჩამოცილებულია. ფეოდალური მმართველი ვირტუალურ რეალობაში ცხოვრობს. ქართული ოცნების ხელშეუხებელ კასტას და მოსახლეობას შორის ხიდი არ არსებობს.

ძირითადი შიდა პოლიტიკური საფრთხეები

- დემოკრატიული სისტემის არარსებობა, გადაწვეტილებათა ერთპიროვნული მიღება და ამომრჩევლისთვის სრულად მიუღებელი, არაკომპეტენტური პარლამენტის საქმიანობა იწვევს სერიოზულ პრობლემებს:
- ქვეყანას არ აქვს თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია.
- გლობალური პანდემიის მიუხედავად, მთავრობამ ვერ წარმოადგინა კონკრეტული ანტი-კრიზისული გეგმა.
- გაუარესდა კრიმინოგენული სიტუაცია, რეგულარული მკვლელობები, ძარცვები და სხვა დანაშაულები ყოველდღიურ ნორმად იქცა, ხოლო მათი გამოუძიებლობა - ჩვეულებრივი ამბავი.
- ქვეყნის უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. სახელმწიფო მეტს მოიხმარს ვიდრე შეუძლია და რეალურად ვალებით, მომავალი თაობების ხარჯზე ცხოვრობს.
- ღრმავდება სოციალური უთანასწორობა, კატასტროფულად გაიზარდა სხვაობა მდიდრებსა და ღატაკებს შორის, ხოლო უმუშევრობა საყოველთაო პრობლემად იქცა.
- შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყანას ტოვებს სამუშაოს საძებნელად.
- წინა ხელისუფლების მიერ დასუსტებული საშუალო ფენა გამდიდრების ნაცვლად ღარიბდება.
- დაპირებული სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ერთეულებისათვის მოხდა და ადამიანები კვლავ შერჩევითი სამართლის მსხვერპლნი გახდნენ.
- „ცოდნის ეკონომიკის“ ნაცვლად მივიღეთ „მომსახურების ეკონომიკა.“
- „დაკარგული თაობის“ პრობლემა ღრმავდება. 50 წელს გადაცილებული ადამიანები ფაქტობრივად ჩამოცილებულნი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას
- დევნილთა პრობლემები კვლავ უკიდურესად მწვავე რჩება.
- ყოველწლიურად უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე. მასობრივი სპორტი, პრევენციული მედიცინის კულტურა, სასურსათო უსაფრთხოება და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს ყურადღება არ ექცევა.

ერთიანი საქართველოს უმთავრესი მიზანია:

1. ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა.

ამისათვის საჭიროა:

- ✓ სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობა.
- ✓ სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო ბაზა.
- ✓ გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფინანსური ინსტიტუტები.

მხოლოდ ამ სამი სტრატეგიული ამოცანის შესრულების შემდეგ, შესაძლებელი იქნება:

- ინვესტიციების მოზიდვა: პრაგმატული, გამოცდილი და პროგნოზირებადი ლიდერი შეძლებს საკანონმდებლო უზრუნველყოფას უცხოელი ინვესტორების ხელახალი მოზიდვისთვის - ნინო ბურჯანაძე კოალიციურ ხელისუფლებაში მათთვის იქნება სტაბილურობის და ზომიერების გარანტი. „ერთიან საქართველოს“ აქვს გეგმა რომელიც ითვალისწინებს ინვესტორებისთვის საგადასახადო სისტემის განჭვრეტადობას, შეღავათიან პირობებს და რაც მთავარია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას.

- სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია: პრემიების, სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების რადიკალური შემცირება, ხოლო მინისტრების, პარლამენტარების და სხვა თანამდებობის პირების ხელფასების გაყინვა და მათი ზრდის მიბმა სოციო-ეკონომიკურ ინდიკატორებზე. არაპროფესიონალიზმის, კორუფციის და ნეპოტიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.
- ტრადიციულ და ახალ ეკონომიკურ პარტნიორებთან სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზება: პოლიტიკური პროცესების და ეკონომიკური ურთიერთობების მაქსიმალურად გამიჯვნა, რათა სრულად გაიხსნას რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის და დაწესდეს ორმხრივი უვიზო რეჟიმი.
- პანდემიის შემდეგ, მაქსიმალურად სწრაფად აღდგეს საავიაციო და სახმელეთო მიმოსვლა.

2. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საჭიროა:

- საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ობიექტის ნაცვლად მის სუბიექტად ჩამოყალიბდეს.
- ევროკავშირთან ურთიერთობა მაქსიმალურად უნდა გაღრმავდეს.
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს.
- ჩრდილოატლანტიკურ სივრცესთან თანამშრომლობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე უნდა იყოს აგებული.
- გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში. საქართველო დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონის ნაცვლად თანამშრომლობის სივრცედ იქცეს.
- საერთაშორისო მექანიზმებთან ერთად, რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან ვაწარმოოთ ორმხრივი და გამჭვირვალე მოლაპარაკებები.
- საქართველომ განამტკიცოს და გააღრმავოს ურთიერთობები აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან. ყველა ჩვენი მოქმედება იყოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისკენ მიმართული.

3. ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით.

უმნიშვნელოვანესია:

- აფხაზ და ოს თანამემამულეებთან პირდაპირი და გამჭვირვალე მოლაპარაკებების დაწყება. მხოლოდ ამ დიალოგს შეუძლია ნდობის აღდგენა. აფხაზები და ოსები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ისინი არასოდეს იქნებიან სამხედრო და საომარი მოქმედებების სამიზნე. მათთვის მიმზიდველი უნდა გახდეს საქართველო მათი თვითმყოფადობის, ეკონომიკური და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფით.
- სახალხო დიპლომატიის, ყველა სახის კონტაქტის (ადამიანური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო, მედია) წახალისება აფხაზ და ოს თანამემამულეებთან.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და გაჯანსაღება

ჩვენი რეალისტური და, ამავე დროს, არსებული რეალობიდან გამომდინარე ჯანსაღად ამბიციური მიზნები 2024 წლისთვის ფისკალურ-ეკონომიკური მიმართულებით არის შემდეგი:

- 2021 წელს, ეკონომიკური ვარდნა არაუმეტეს 5%-ისა;
- 2022 წელს, ეკონომიკური ვარდნა არაუმეტეს 1.5%-ისა;
- 2023 წელს, 2.5-3%-იანი ზრდა;
- 2024 წელს, 3%-მდე ზრდა.

წლების მიხედვით ამ პარამეტრების შენარჩუნება უზრუნველყოფს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას მინიმალური დანაკარგებით. ამისათვის პირველ რიგში, აუცილებელია ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს გაჯანსაღება. პოსტპანდემიურ პერიოდში მაკროეკონომიკური გარემო და მისი სტაბილურობა იქნება უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული დანიშნულების ინდიკატორი ქვეყნის პოტენციური ინვესტორებისთვის.

საინვესტიციო გარემო

თუ საქართველო ვერ გახდება მიმზიდველი დამატებითი უცხოური ინვესტიციებისთვის, ეკონომიკის გაჯანსაღებაზე ყველანაირი დისკუსია მხოლოდ პოპულისტური ხასიათის შეიძლება იყოს. ასეთ რთულ ვითარებაში, ქვეყნის ბიზნესსექტორის გადარჩენა სასესხო კაპიტალით, ერთჯერადი ან თუნდაც მრავალჯერადი სახელმწიფო სუბსიდიებით შეუძლებელია. ქვეყანას სასწრაფოდ ესაჭიროება გახდეს მიმზიდველი საინვესტიციო კაპიტალისთვის, რისთვისაც აუცილებელი ნაბიჯებია:

1. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა

ნებისმიერი მოცულობითი ინვესტიციის განხორციელებამდე (თუკი ეს არ ეხება კომპანიას ან პირთა წრეს, რომელიც გაურკვეველი წარმომავლობის კაპიტალის დაბანდებას ცდილობს), სერიოზული ინვესტორი უპირველესად სწავლობს ქვეყანაში არსებული სასამართლო სისტემისა და მისი დამოუკიდებლობის ხარისხს. საქართველოში დღევანდელი პოტენციური ინვესტორები დამოკიდებულნი არიან მხოლოდ ხელისუფლების ან მასთან დაახლოებულ პირთა კეთილგანწყობაზე. ბუნებრივია, ასეთი სისტემის არსებობის შემთხვევაში, ქვეყანაში შემოსვლას რისკავს უმეტესწილად საეჭვო წარმომავლობის კაპიტალი. „ერთიანი საქართველო“, ყველა სხვა პასუხისმგებლიან პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, მზად არის, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე, მხარი დაუჭიროს ისეთ სასამართლო რეფორმას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გაათავისუფლებს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემას აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არაფორმალური მმართველობის წნეხისგან.

2. სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო ბაზა

არაჯანსაღი პოლიტიკური სისტემის პირობებში, როდესაც საპარლამენტო რესპუბლიკაში ქვეყანა იმართება არაფორმალური და გაუმჭვირვალე მეთოდებით, ნებისმიერ ექსპერტს გაუჭირდება გამოთქვას საშუალო ვადიანი პროგნოზიც კი, თუ როგორი საგადასახადო პოლიტიკა ექნება ქვეყანას თუნდაც მორიგი საპარლამენტო სესიის შემდეგ. „ერთიანი საქართველო“ უზრუნველყოფს სტაბილურ და პროგნოზირებად საკანონმდებლო მუშაობას პარლამენტში.

3. გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფინანსური ინსტიტუტები

დასახვეწია კანონმდებლობა ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ; გასამკაცრებელია საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის საქმიანობაზე. ეროვნული ბანკის საბჭოს დაკომპლექტების პროცესი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური კონიუნქტურისგან და უნდა შედგებოდეს მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისგან (პოლიტიკური ნების არსებობისას, ასეთები საქართველოში მოიძებნებიან). საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს ეროვნული ბანკის რეალური დამოუკიდებლობა, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად.

ეკონომიკური ზრდა

ზემოთ ჩამოთვლილი სამი წინაპირობა მოგვცემს არა მხოლოდ პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას, არამედ საშუალებას დავუბრუნდეთ ქვეყნის ეკონომიკის რეალურ ზრდას. ეკონომიკის რეალური ზრდა, პირველ რიგში, გულისხმობს ექსპორტსა და შიდა ბაზარზე ორიენტირებული ბიზნესის განვითარებას. აუცილებლად უნდა მოხდეს იმ დარგების იდენტიფიცირება, რომლებშიც ქვეყანას შეუძლია აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ამ კონკრეტული დარგების სტიმულირებით უნდა შეიქმნას ქვეყანაში დამატებითი კაპიტალი და სამუშაო ადგილები, და ამ დარგებმა უნდა შეასრულონ ქვეყნის მაშველი რგოლის ფუნქცია პოსტპანდემიურ კრიზისულ წლებში. დაუშვებელია დარგის სტიმულირება პოპულისტური ან კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

კონკურენტუნარიანი დარგების იდენტიფიცირების შემდეგ, უნდა მოხდეს ეკონომიკის საწარმოო ბიზნეს–სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით მისაღებია რეფორმატორული საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული კანონთა პაკეტი შეეხება კორპორატიული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ეს ინიციატივა მოგვცემს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, კერძო კომპანიებს მიეცემათ საბანკო–სასესხო კაპიტალის საინვესტიციო კაპიტალით ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს საექსპორტო პროდუქციის თვითღირებულებას და აამაღლებს მის კონკურენტუნარიანობას. ამისათვის საჭირო იქნება:

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება.
- საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის სტიმულირების მექანიზმის დანერგვა რეალური ეკონომიკის სექტორში, რაც პირველი ორი წლის განმავლობაში მოგვცემს 2 მილიარდის ოდენობის „პორტფელური ინვესტიციების“ მოზიდვის საშუალებას.
- საინვესტიციო–საფონდო ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად, საფონდო ბროკერებისთვის ახალი ნორმატიული პირობების შემოღება და მათთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დაწესება (მოგების გადასახადი – 5%).
- ღია ტიპის სააქციო საზოგადოებების შექმნის სტიმულირების მიზნით ამ ტიპის საზოგადოებები გათავისუფლება დივიდენდებზე მიმართული თანხების შესაბამისად.
- მეწარმეობის, მათ შორის, აგრარული საქმიანობის, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა.

საგადასახადო პოლიტიკა

ჩვენი მიზანია: გადავიხადოთ ნაკლები მეტმა! უნდა მოქმედებდეს პროგრესული დაბეგვრის რეჟიმი, ხოლო მოქმედი საშემოსავლო გადასახადი, ნაცვლად პროპორციული 20 პროცენტისა, იქნება პროგრესული – 7–17 პროცენტის ფარგლებში. რაც მეტია შემოსავალი, მით მეტია გადასახადი. ამოქმედდება დაუბეგრავი მინიმუმის ცნება.

- გაუქმდება პირველად პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების გადასახადი.
- გაუქმდება ქონების გადასახადი იმ შინამეურნეობებისთვის, რომელთა წლიური დაუბეგრავი შემოსავალი იქნება 175 ათას ლარზე ნაკლები.
- მოხდება საგადასახადო პოლიტიკის ეტაპობრივი და მოზომილი ლიბერალიზაცია.
- Startup–ის მდგომარეობაში მყოფი მცირე ბიზნესი პირველი სამი წლის განმავლობაში გათავისუფლდება გადასახადებისგან.
- მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან სრულად უნდა გათავისუფლდეს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის სფეროში.
- მოგების გადასახადი უნდა შემცირდეს – 10%-მდე, ხოლო გადასახადი დივიდენდზე – 2%-მდე.
- ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისთვის უნდა მოხდეს სატრანზიტო ტარიფების შემცირება-ოპტიმიზაცია.

ეროვნული ვალუტა

ეკონომიკას სჭირდება სტაბილური ლარის კურსი.

- უნდა შეიქმნას გამჭვირვალე და სამართლიანი კურსის ფორმირების მექანიზმი.
- ეროვნული ბანკი უნდა გახდეს რეალურად დამოუკიდებელი.
- ლარი უნდა გახდეს რეალურად ერთადერთი საგადამხდელო საშუალება.
- დაუშვებელი უნდა იყოს ნებისმიერი გარიგების სხვა სახელმწიფოს ვალუტაში დადება.
- სახელმწიფომ უნდა შეძლოს არალეგალური სავალუტო სპეკულირების აღკვეთა.

მეწარმეობა, ბანკები, კრედიტები და იპოთეკარები

საშუალო და წვრილი მეწარმეების განსაკუთრებული ხელშეწყობა წარმოადგენს ჩვენს პრიორიტეტს ეკონომიკაში. საჭიროა საქართველოს მოსახლეობის, ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დამცველი და უცხოელ ინვესტორებთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დონე დამოკიდებულია საშუალო ფენის კეთილდღეობაზე და არა მხოლოდ მსხვილ ოლიგარქიულ კაპიტალზე. ქვეყანაში, სადაც ათეულობით ათასი ოჯახი ვალების გამო გამოსახლების საფრთხის წინაშეა, სასწრაფო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომებია მისაღები.

პირველ რიგში, უნდა აიკრძალოს მოქალაქეების ერთადერთი საცხოვრებლიდან გამოსახლება, მანამ სანამ არ მოიძებნება ალტერნატიული საცხოვრებელი.

დაზარალებულთა ადეკვატური წარმომადგენლობით უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის ბანკის მოვალეთა საქმეებს. ოჯახებს, რომლებიც დაზარალდნენ 2008 წლის ომის შედეგად, სახელმწიფოს მიერ საპროცესო შეთანხმებებზე იძულებით ან ბიზნესის პირდაპირ წართმევით, სრული უფლება აქვთ, ისარგებლონ სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დახმარებით.

განსაკუთრებული შესწავლის ღირსია მოსახლეობის სრული გაღატაკების ფონზე ბანკების მიერ ხელოვნურად გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები. ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს ბინებიდან იპოთეკართა გამოსახლების პროცესი. პოსტპანდემიურ პერიოდში, სახელმწიფომ უნდა დაფაროს მოქალაქეების სასესხო საპროცენტო ხარჯების ნახევარი მინიმუმ 2023 წლამდე. სამოქალაქო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომელიც ადამიანთა რეალურ დაცულობას უზრუნველყოფს.

„ერთიანი საქართველო" სათავეში ჩაუდგება შემდეგ საზოგადოებრივ ინიციატივებს:

- დამატებული ღირებულების გადასახადის დასაკისრებლად სავალდებულო რეგისტრაციის თანხა, ნაცვლად დღეს არსებული დასაბეგრი ოპერაციების 100 ათასი ლარისა, განისაზღვროს 200 ათასი ლარის ოდენობით. იმოქმედებს პრინციპი: აღირიცხება, მაგრამ არ იბეგრება. ასიდან ორასი ათასამდე ლარის ბრუნვის მქონე მცირე ბიზნესი პროგრესული დაბეგვრის რეჟიმში მოექცევა და მხოლოდ 200 ათასლარიანი ბრუნვის ზემოთ დაუბრუნდება მოქმედი დაბეგვრის სრულფასოვან რეჟიმს.
- საბანკო სისტემის ისეთ სტიმულირებაზე, რომელიც გამორიცხავს არაადექვატურად მაღალ საპროცენტო განაკვეთებს.
- მორატორიუმის გამოცხადებაზე, რათა შეჩერდეს გამოსახლება, ბანკებთან და კერძო მსესხებლებთან შეთანხმების მიღწევამდე;
- იპოთეკით დაზარალებულთათვის საბანკო პროცენტის დარიცხვის შეჩერებაზე.

ბიუჯეტის ხარჯების ეკონომია

დღეს საქართველოს, მისი მდგომარეობისთვის შეუფერებლად „ძვირი ხელისუფლება" ჰყავს. სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯების ოპტიმიზაცია ითვალისწინებს არსებული საბიუჯეტო ხარჯების ეტაპობრივ შემცირებას, რაც გულისხმობს მოქმედი სამინისტროების, მუნიციპალური და თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურულ და ფუნქციურ ოპტიმიზაციას. სახელმწიფო ხარჯების დაზოგილი თანხები მიმართული იქნება სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე, რაც არსებული დახმარებების, სულ ცოტა, 20%–ით ზრდას ნიშნავს.

- შესასყიდი პროდუქციის გაიაფების და საბიუჯეტო თანხების ეკონომიის მიზნით უნდა გაიზარდოს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლის შესყიდვაც წარმოებს კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით.
- სახელმწიფო შესყიდვების დროს სოფლის მეურნეობის გარკვეული სახეობის პროდუქციისთვის პრიორიტეტი მიენიჭოს როგორც ფასს, ასევე პროდუქციის ადგილობრივ წარმომავლობას.
- სახელმწიფო დაწესებულებებსა და იმ საწარმოებში, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს 50%-ზე მეტ წილს, სახელფასო სისტემა დარეგულირდეს იმგვარად, რომ მოხელეებს არ ექნათ არაადეკვატურად მაღალი ანაზღაურება.
- სახელმწიფო მოხელეთა შემოსავლები, ისევე როგორც პენსია, უნდა მიებას საარსებო მინიმუმს.
- მინისტრების, პარლამენტარების და სხვა თანამდებობის პირების ხელფასები უნდა გაიყინოს და მათი ზრდა პირდაპირ პროპორციულად უნდა მიებას პენსიების ზრდას.

სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი

აუცილებელია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი სტანდარტების შენარჩუნება საგარეო ვალის აღებისას და ბიუჯეტის ფორმირებისას. ასეთია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი სტანდარტი, რომ საგარეო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს.

მნიშვნელოვანია მკაცრი პოლიტიკური და საპარლამენტო კონტროლი საერთაშორისო საკრედიტო ვალდებულებების აღებისას. მრავლად გვაქვს მაგალითები, როცა საერთაშორისო საკრედიტო ვალდებულებების აღებისას, სხვადასხვა ხელისუფალი მოქმედებდა საკუთარი მოკლევადიანი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება საბიუჯეტო პოლიტიკას: უნდა აღინიშნოს რომ პოსტ-პანდემიურ პერიოდში, საბიუჯეტო დეფიციტი ნორმა იქნება. პოლიტიკის განსაზღვრა და შემუშავება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა ადექვატური და გამჭვირვალე მექანიზმებით, დაითვლება კრიზისის საშუალო და გრძელვადიანი ზარალი.

საჯარო სამსახურის განვითარება

საჯარო სამსახური საჭიროებს რეფორმირებას საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის და მათი ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით. თუმცა თვითმიზანი არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს მოხელეთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა.

აუცილებელია საჯარო მოხელეთა რაოდენობა და მათი ხარჯები იყოს ადექვატური იმ ამოცანების, რომლებსაც უნდა ასრულებდეს კონკრეტული სახელმწიფო უწყება. წარმომადგენლობითი ხარჯები, პრემიები და დანამატები უნდა გაიცემოდეს სახელმწიფო ინტერესების და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, აუცილებელია გაძლიერდეს კონტროლი და გამჭვირვალობა.

მიუღებელია საქართველოსნაირ ქვეყანაში საჯარო მოხელეთა მომსახურებაზე (ავტომობილი, საწვავი და ა.შ.) იხარჯებოდეს უზარმაზარი საბიუჯეტო სახსრები. საჭიროა საჯარო სექტორის დაუყოვნებლივ დეპოლიტიზება. თანამშრომლები არ უნდა ინიშნებოდნენ და თავისუფლდებოდნენ თანამდებობებიდან პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს, რომ მიუხედავად არჩევნების შედეგებისა, ის განაგრძობს თავის კარიერულ წინსვლას სამსახურებრივი მოვალეობის ეფექტიანად შესრულებისას.

საჯარო მოხელე არ უნდა იყოს იძულებული, ემსახურებოდეს მმართველ პარტიას. მისი მთავარი საზრუნავი სახელმწიფოს და არა რომელიმე პარტიის ინტერესებია. საჯარო სამსახურებში მდგრადობა და სტაბილურობა უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციონალური მეხსიერებისათვის და ქვეყნის განვითარებისთვის. მხოლოდ ჩამოთვლილი პირობების შესრულების შემთხვევაში ჩამოყალიბდება პროფესიონალური ბიუროკრატია, რომელიც უწყვეტად, მშვიდად და პირნათლად შეასრულებს თავის ვალდებულებებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოვა ხელისუფლებაში.

ტურიზმი

ტურიზმი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, მაგრამ, სამწუხაროდ, პოსტპანდემიურ წლებში ის სუბსიდირების ობიექტად იქცევა. იმისათვის რომ ქვეყანამ შეძლოს გრძელვადიან პერსპექტივაში ტურიზმის ინდუსტრიის არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, აუცილებელია უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ამ ინდუსტრიისთვის შენარჩუნდეს ის საშეღავათო რეჟიმი, რომელიც ახლა მოქმედებს.

თუ საქართველო ვერ მოახერხებს უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ტურიზმის ინდუსტრიისთვის ამ საშეღავათო რეჟიმის შენარჩუნებას, ჩვენი გათვლებით, დაიკარგება ტურისტული ბიზნესის ერთი მესამედი და ის საშუალო ვადიანი კრიზისული პერიოდი კრიზისული ინდუსტრიისთვის (2-3 წელი) შესაძლოა 5-იდან 7-წლამდე გაგრძელდეს. „ერთიანი საქართველო“ მხარს უჭერს ტურიზმის ინდუსტრიისთვის 2021-2023 წლებში საშეღავათო რეჟიმის შენარჩუნებას.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი დარგია. საქართველო აგრარული ტრადიციების ქვეყანაა და სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთ გარემო, რომელიც გამოირიცხავს გასაღების ბაზრების ჩაკეტვის საფრთხეს. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური სტაბილურობით და მოლაპარაკებათა უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფით.

ნინობურჯანაძე და მისი გუნდი, არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა საქართველოში, რომელსაც შეუძლია სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი მრეწველობის შეუფერხებლად ამუშავება. ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, ეს იქნება კეთილდღეობის გარანტია. ჩვენ ვუზრუნველყოფთ ავითვისოთ ევროკავშირის ქვოტა არა 5%, როგორც დღესაა, არამედ 100 %. ამისათვის, შვქმნით ისეთ პროდუქციას, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებისთვის მისაღები იქნება. ასევე სტაბილურად დავიბრუნებთ რუსულ და სხვა ტრადიციულ ბაზარსაც. ვუზრუნველყოფთ, რუსეთის ბაზრის მიმართულებით, ორმხრივ გარანტიებზე დაფუძნებულ თავისუფალ ვაჭრობას და გავმიჯნავთ ეკონომიკურ ურთიერთობებს პოლიტიკისგან. ყოველივე ზემოაღნიშნული იქნება მომავლის გარანტი ქართველი გლეხისთვის, რომელსაც ჩვენი გუნდი აუცილებლად შექმნის.

თანაბრად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვისა და კონცეფციის შექმნა და არა ცალკეული მიმართულებებით სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სწორად დაგეგმვის შემთხვევაში რაციონალურად იქნება გამოყენებული ჩვენი ქვეყნის რესურსები (მიწა, წყალი, საძოვრები და ა.შ.), მოსახლეობისათვის მივიღებთ ადგილობრივი წარმოების მაღალხარისხიან პროდუქტს, ხოლო ჭარბი პროდუქტიდან სანედლეულო ბაზას მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, გლეხი კი შრომის შესატყვის ანაზღაურებას მიიღებს.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გლეხებისა და ფერმერების გაძლიერებაზე, მათ მიერ თანამედროვე მოთხოვნების ათვისებასა და დანერგვაზე.

გლეხს უნდა მიეცეს საშუალება, ხელმისაწვდომ ფასებში დაიქირაოს ტექნიკა. უნდა შეიქმნას პროდუქციის ჩაბარების საბითუმო და პროდუქციის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შესანახი ცენტრები. ქვეყანას უნდა ჰქონდეს გასაღების სტაბილური ბაზრები. განსაკუთრებით საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია რუსეთის ბაზრის სტაბილური გახსნა და შენარჩუნების გარანტია, რათა მოწეული მოსავლის დიდი ნაწილი გლეხს არ უფუჭდებოდეს. გასაღების სტაბილური ბაზარი წაახალისებს ჭარბი პროდუქციის მოწევას და ადგილებზე შესყიდვის ცენტრების, რეალიზაციის და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას.

საჭიროა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული და რეალობის ადეკვატური ახალი აგრარული პოლიტიკა, რომლის ფორმირებასა და განხორციელებაში უნდა მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და სამეცნიერო წრეები. ამისათვის „ერთიან საქართველოს“ აქვს კონკრეტული გეგმა შექმნას და აამუშაოს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო კორპორაცია.

ეროვნული კორპორაცია

ქართველი გლეხი დღეს ვერ ახერხებს საინვესტიციო კაპიტალის მობილიზებას, ხოლო არსებული საბანკო-სასესხო კაპიტალის პირობები მათთვის კაბალურია. შესაბამისად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება არის ძალიან მაღალი, ხარისხი კი საკმაოდ დაბალი. გლეხები დღეს ვერ ახერხებენ მოყვანილი პროდუქციის ვერც სრულფასოვნად რეალიზაციას, ვერც შენახვას.

ეროვნული კორპორაცია წარმოადგენს ფერმერული და გლეხური მეურნეობის განვითარების და საქმიანობის სტიმულირების საინვესტიციო მექანიზმს. ის ისახავს მიზნად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანის ხელშეწყობას და შემდგომ რეალიზაციაში დახმარებას. კოოპერაციის პროცესის სტიმულირებით, ეროვნული კორპორაცია:

- უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალ ხარისხს.
- ინტენსიურად დაასაქმებს სოფლად მცხოვრებ ადამიანებს.
- მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს გადამამუშავებელი და ფერმერული დარგების განსავითარებლად.
- მცირე და საშუალო მწარმოებლებს მისცემს შესაძლებლობას ისარგებლონ მასშტაბის ეფექტის უპირატესობით (წვდომა ძვირად ღირებულ ტექნიკაზე, ინფრასტრუქტურაზე, და ა.შ.)

პროექტის განვითარების მოდელი

1. სოფლის მეურნეობის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ - სააქციო საზოგადოება „აგრო-კორპორაციის“ დაფუძნება.
2. პოტენციური აქციონერების (ფერმერული და გლეხური მეურნეობების სახით) - აგრო-კორპორაციის მიერ დამატებით გამოშვებული აქციების მიღების სანაცვლოდ, აგრო-კორპორაციისათვის გადასაცემი რესურსების შეფასება (შეფასების დადგენილი სტანდარტებით).
3. აგრო-კორპორაციის აქციების გადაცემა - მიღებული მატერიალური რესურსების სანაცვლოდ.
4. აგრო-კორპორაციის მიერ მიღებული მატერიალური რესურსების ექსპლუატაციის და შესყიდულ პროდუქციასთან ერთად გადამუშავების შედეგად მიღებული მზა პროდუქციის რეალიზაცია.
5. აგრო-კორპორაციის აქციონერების პრიორიტეტული დასაქმება.
6. წლიური შედეგების მიხედვით, აქციონერებზე დივიდენდების განაწილება, ხოლო საინვესტიციო ფონდის კუთვნილი დივიდენდების თანხის რეინვესტირება.

   საინვესტიციო ფონდიდან მიღებული საინვესტიციო კაპიტალის გამოყენებით მოხდება:

   - აგრო-კორპორაციის მენეჯმენტის და აგრო-ექსპერტების გუნდის ფორმირება.
   - აგრო-კორპორაციის რეგიონალური ფილიალების გახსნა;
   - ლიზინგის პირობებზე - გადამამუშავებელი საწარმოების, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ავტომატიზებული ფერმების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სამაცივრო დანადგარების, პროდუქციის შენახვის კომპლექსების ხარისხის შემოწმების ლაბორატორიების და სხვა - ექსპლუატაციაში შეყვანა.
   - სოფლის მეურნეობის ნიადაგის და მცენარეების ბიო-ქიმიური და სასუქი მასალების შეძენა.
   - ეროვნული კორპორაციის მაღაზიათა ქსელის ამუშავება.

ამის შედეგად მოხდება:

- ✓ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანის და რეალიზაციის უზრუნველყოფა.
- ✓ რეგიონებში მოსახლეობის მასიური დასაქმება.
- ✓ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.
- ✓ ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდა.

სხვა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივები:

- მთიან და სასაზღვრო სოფლებში, გადამამუშავებელი საწარმოები უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისგან, კომუნალურის გარდა.
- სუბსიდირებული იმპორტული პროდუქციისგან (რომელიც მთლიანად გათავისუფლებულია საკომპენსაციო მოსაკრებლისგან) ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად დაუყოვნებლივ შესამუშავებელია ანტიდემპინგური კანონმდებლობა.
- სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო–ტექნიკური პოტენციალის ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, ეტაპობრივად უნდა აღდგეს დანაშაულებრივად გაუქმებული სოფლის მეურნეობის პროფილის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტები.
- უნდა აღდგეს და გაძლიერდეს აგრარული სასწავლებლები, ხოლო განათლების სამინისტროს უნდა დაეკისროს ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობისთვის კადრების მომზადების კოორდინაცია.

სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის!

სასამართლო ხელისუფლება გადაუდებელ რეფორმირებას საჭიროებს. სასამართლო უნდა იყოს სამართლიანი, კომპეტენტური, ობიექტური, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი და იაფი.

უნდა შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი - საბჭოს დაკომპლექტების პროცესი უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური და კლანური გავლენებისგან. უნდა გაუქმდეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი - ნაფიც მსაჯულთა შერჩევის არსებული კრიტერიუმები ვერ უზრუნველყოფს საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროში გაწელილი პროცესი ეწინააღმდეგება ეფექტური და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს. ასევე, არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოებას. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა იძლევა საშუალებას, სახელმწიფომ აირიდოს პასუხისმგებლობა და იგი საზოგადოებას დააკისროს.

პოლიტიკური გავლენებისგან უნდა გათავისუფლდეს ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელიც სწორედ პოლიტიკური მიკერძოებულობის გამო ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას, წარმოებას ან სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. სასამართლოების გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად საერთო სასამართლოებში უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა.

გარდა ამისა, საერთო სასამართლოების სისტემაში უნდა შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლოები. სასამართლოში საქმეთა განაწილება პოლიტიკური მანიპულაციების შესაძლებლობებს უნდა გამორიცხავდეს. დაუშვებელია მოსამართლეთა, მით უფრო მოქმედ მოსამართლეთა, უვადოდ (სიცოცხლის ბოლომდე) დანიშვნა. უნდა დადგეს

იმ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდნენ და უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოზე დაცვისა და ბრალდების მხარის თანასწორუფლებიანობა, აგრეთვე დაცული და გარანტირებული ადვოკატთა უფლებები.

ჩვენ მოსახლეობას ვთავაზობთ კანონპროექტს ამპაროს პროცედურის, ანუ ახალი ინსტიტუციის შემოსაღებად, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ მოქალაქეებს, მიუხედავად ხანდაზმულობის ვადისა, მიეცეთ სამართლებრივი საშუალება, გადაისინჯოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათ ამ გზით მიაღწიონ დარღვეული უფლებების აღდგენას. ამპაროს პროცედურა სამართალწარმოების კონსტიტუციური ზედამხედველობის ფორმაა და განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კონსტიტუციურ უფლებებთან შესაბამისობას კონკრეტული მოქალაქის დარღვეულ უფლებებთან მიმართებით. ამპაროს პროცედურა მხოლოდ ერთ ინსტანციას მოიცავს, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და არანაირ აპელაცია-კასაციას არ ექვემდებარება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

გამოსაძიებულ უნდა იქნეს ყველა ფაქტი, რომელმაც დაარღვია მოქალაქის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ ამგვარი ქმედებების დამკვეთნი და ასევე შემსრულებელნიც. უნდა გამკაცრდეს კანონმდებლობა ამ მიმართულებით და, ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე პრაქტიკიდან გამომდინარე, მსგავსი დანაშაული უნდა გაუტოლდეს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს.

საკონსტიტუციო ცვლილებები

ქვეყანაში ჩამოყალიბდა კონსტიტუციის მუდმივი, რადიკალური და არათანმიმდევრული ცვლილებების განხორციელების კატასტროფული ტენდენცია. უმნიშვნელოვანესია, ამ სფეროში სტაბილურობისა და მდგრადობის შემოტანა და შენარჩუნება.

პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი. მისაღებია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციური ცვლილებები ძალაში შევა არა იმ პარლამენტის უფლებამოსილების ვადაში, რომელიც მას მიიღებს, არამედ მხოლოდ ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ.

კონსტიტუცია შეძლებისდაგვარად უნდა გაიწმინდოს პოლიტიკური კონიუნქტურისგან. პრეზიდენტის არჩევის წესი უნდა შეიცვალოს და, საარჩევნო კოლეგიის ნაცვლად, იგი კვლავ ხალხმა უნდა აირჩიოს - პირდაპირი, საყოველთაო, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების შედეგად.

ასევე უნდა შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი, გადაიხედოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საკითხი. სასამართლოში საქმეთა განაწილება პოლიტიკური მანიპულაციების შესაძლებლობებს უნდა გამორიცხავდეს. დაუშვებელია მოსამართლეთა, მით უფრო დღეს მოქმედ მოსამართლეთა, უვადოდ (სიცოცხლის ბოლომდე) დანიშვნა.

საჭიროა კონსტიტუციის დონეზე ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგია. ნათლად იყოს ნაჩვენები საქართველოს ანტიმილიტარისტული სტრატეგია.

საარჩევნო სისტემა

საქართველოში საარჩევნო სისტემა უნდა იყოს სრულად პროპორციული, ვინაიდან მას გააჩნია ორი მნიშვნელოვანი უპირატესობა საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში.

ერთი უპირატესობა ტექნიკურია - პროპორციული სისტემა უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ხმების (ნების) მინიმალურ დანაკარგს. სწორად აგებული პროპორციული სისტემის პირობებში ამომრჩეველთა ხმები მაქსიმალურად გარდაისახება მანდატებად.

მეორე კი პოლიტიკურია - საპარლამენტო რესპუბლიკისთვის აუცილებელია ძლიერი მრავალპარტიული პარლამენტი. როდესაც მოსახლეობის უმრავლეს ნაწილს ეყოლება წარმომადგენელი პარლამენტში, ეს განაპირობებს იმას, რომ ყველა არსებული სადავო საკითხის გადაწყვეტის პროცესი გადაინაცვლებს პარლამენტის შიგნით და არა პარლამენტის წინ, როგორც ეს დღევანდელ პირობებში ხდება.

მრავალპარტიული პარლამენტი დიდი ალბათობით ნიშნავს კოალიციურ მთავრობებს, რომლის პირობებშიც ჩამოყალიბდება სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, ორიენტირებული მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების, სერვისებისა თუ მართვის მეთოდების შესათავაზებელად.

შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროპორციული სისტემა არის საუკეთესო ბაზისი, რომელზეც შეიძლება დაშენდეს ძლიერი დემოკრატიული, სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფო ინსტიტუტები (ამის მაგალითია ისრაელის სახელმწიფო, რომელიც ჩამოყალიბდა ჩვენსავით რთული გეოპოლიტიკური მდებარეობის პირობებში).

მაჟორიტარული კომპონენტის ამოღება თავისთავად განაპირობებს თვითმმართველობების გაძლიერებას და რეალურ, ქმედით ინსტიტუციად ჩამოყალიბებას. შერეული სისტემის პირობებში ავტომატურად ყალიბდება სუბორდინაციული კაზუსები თვითმმართველობასა და პარლამენტს შორის, რაც საგრძნობლად აკნინებს თვითმმართველობის როლს და არის რეგიონალური განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი.

მთლიანად პროპორციული წესით დაკომპლექტებული პარლამენტი თავისთავად თავისუფლდება მაჟორიტარული გავლენებისგან და ორიენტირებულია თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობილი კანონშემოქმედებისკენ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანად პროპორციული წესით არჩეული საკანონმდებლო ორგანო იქნება გაცილებით კომპეტენტური, ვინაიდან ქმნის ნაკლები ცნობადობისა და ფულის, მაგრამ მეტი კომპეტენციის მქონე პროფესიონალებითა და პოლიტიკური უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებით პარლამენტის დაკომპლექტების შესაძლებლობას.

თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა

ქვეყნაში უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა, რომელიც დღითიდღე მძიმდება. სახელმწიფომ სოციალურ პროგრამებში მსხვილი ბიზნესის მონაწილეობის მართებული ფორმა უნდა შეიმუშაოს, რათა საქართველოს შეძლებულმა მოქალაქეებმა მეტი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა გამოავლინონ და რეალურად დაუდგნენ გვერდით გაჭირვებულებს.

- ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა იქნას წახალისებული ქველმოქმედება. სოციალურად დაუცველთა დახმარების მიზნით, ან ეროვნული კულტურის და სპორტის მხარდასაჭერად ქველმოქმედების გამწევთა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას წახალისების გარკვეული ფორმები, საგადასახადო შეღავათების დაწესების ჩათვლით. საამისოდ აუცილებელია შემუშავდეს კანონი „ქველმოქმედების შესახებ";
- გადასახადის სიდიდე უნდა იყოს დიფერენცირებული შემოსავლების სიდიდის შესაბამისად;
- უნდა გატარდეს საგადასახადო სისტემის რეფორმა. პარამეტრული საგადასახადო სისტემიდან საჭიროა გადავიდეთ დიფერენცირებულ საგადასახადო სისტემაზე;

სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ წახალისდეს ის ეკონომიკური პროექტები, რომლებიც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და, შესაბამისად, შეამცირებს სოციალურად დაუცველ ადამიანთა რიცხვს;

სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება და მოხსნა არ უნდა იყოს დამოკიდებული შემფასებელი პერსონალის სუბიექტურობაზე. უნდა მოხდეს

ავტომატიზებული სისტემის სრულყოფა, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში შეცდომა უნდა აღმოიფხვრას საჯარო და გამჭვირვალე მექანიზმებით;

- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ქვეყნის სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.
- საგადასახადო პოლიტიკა იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გადასახადი არა მხოლოდ ბიუჯეტის შევსების წყარო იყოს, არამედ ეკონომიკის განვითარებას შეუწყოს ხელი.

საარსებო მინიმუმი, პენსიები და უმუშევრობის შემწეობები

სამართლიანობის დამკვიდრება სოციალური მიმართულებით არაერთი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.

უნდა შეიცვალოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ" და ხელისუფლებამ თანხის საბოლოო ოდენობის დათვლისას ორიენტირად უნდა აიღოს სოციალური ნორმატივი და არა ფაქტობრივი მონაცემები. კერძოდ, სასურსათო კალათის კალორიულობა 2300–დან 2500 კილოკალორიამდე უნდა გაიზარდოს. სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება 70/30-ის ნაცვლად, არანაკლებ 50/50 უნდა განისაზღვროს. ამ ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოანგარიშებული საარსებო მინიმუმი საქართველოში დაახლოებით 400 ლარს შეადგენს.

- ხელფასებისა და პენსიების ინდექსაცია უნდა მოხდეს ინფლაციის გათვალისწინებით.
- ქვეყანაში უნდა გატარდეს საპენსიო რეფორმა: პენსია (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარჩენალ დაკარგულების, პოლიტიკურად რეპრესირებულების და ყველა სხვა კატეგორიის მინიმალური პენსია) 50%-ით უნდა აღემატებოდეს რეალურ საარსებო მინიმუმს.
- პენსია უნდა განისაზღვროს შრომითი სტაჟისა და ნამსახურობის მიხედვით.
- პენსიონერებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა უნდა გახდეს უფასო.
- დედებს შვილის აღზრდის პერიოდი ჩაეთვლებათ შრომით სტაჟში - დაწესდება „დედის ხელფასი."
- ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის უნდა შეიქმნას ღირსეული სოციალური გარანტიები.
- უნდა განისაზღვროს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლის სტატუსი და შემოღებული იქნას მათთვის შემწეობა.
- უნდა მოხდეს საცხოვრებელდაკარგულთა აღწერა და მათთვის ეფექტიანი დახმარების გაწევის მიზნით სოციალური დაცვის საგანგებო პროგრამის შემუშავება.
- საშუალო ფენა უნდა გაძლიერდეს და რაოდენობრივად გაიზარდოს. ჩვენი მიზანია, რომ ქვეყანაში უმრავლესობა არა სოციალურად დაუცველთა ფენა, არამედ საშუალო ფენა გახდეს.

საშეღავათო სისტემა პანდემიის პერიოდში

არსებული საშეღავათო სისტემა მთლიანად ორიენტირებულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლების მიერ მხარდაჭერის შენარჩუნებაზე. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული საშეღავათო გადაწყვეტილებები დისკრიმინაციულ, დაუბალანსებელ და უყაირათო ხასიათს ატარებს.

მაგალითად, ელექტროენერგიის გადასახადის სუბსიდირება მოხდა მოხმარების მიხედვით, როდესაც ორსულიან და მრავალშვილიან ოჯახს ერთნაირი რაოდენობის სუბსიდია ეკუთვნოდათ. აუცილებელია განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება, გამოყოფა, და მათთვის შეღავათების მიზნობრივი გაცემა.

კრედიტებზე გამოცხადებული 6-თვიანი მორატორიუმი საკმარისი არ არის. ჩვენი შეფასებებით, 2021 წლის პირველი და მეორე კვარტალი განსაკუთრებით მძიმე იქნება. ამის ფონზე, მოსახლეობა კერძო სექტორის კეთილ ნებაზე ვერ იქნება დამოკიდებული. საკრედიტო შეღავათები უნდა დარეგულირდეს სახელმწიფო დონეზე. უმძიმეს ფინანსურ წნეხს განიცდიან თვითდასაქმებულები, მცირე და საშუალო მეწარმეები. სამწუხაროდ, გადახდისუუნარობა იქცევა ჩვეულებრივ მოვლენად. იქნებიან კომპანიები, რომლებიც ამ კრიზის ვერ გაუძლებენ. შესაბამისად, საშეღავათო სისტემის მოქმედება უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 2021 წლის მეორე კვარტალამდე.

- უნდა გამოიყოს თვითდასაქმებულთათვის ყოველთვიური გრანტი. თანხა უნდა მოიცავდეს მათ მიერ წარდგენილი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მიღებული საშუალო შემოსავლის მინიმუმ 70%-ს.
- მცირე და საშუალო მეწარმეები უნდა გათავისუფლდნენ ყველა ფორმის გადასახადისგან (დღგ-ს გარდა).
- გამოცხადდეს მორატორიუმი გაკოტრების პროცედურებზე და შეჩერდეს კანონი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“.

აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ხარჯების უპრეცედენტო ოპტიმიზაცია და ასევე უპრეცედენტოდ რადიკალური ზომების გატარება კორუფციის მინიმუმამდე შესამცირებლად.

ეფექტიანი და სამართლიანი ჯანდაცვა ყველასთვის

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია: გამართული, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებებზე ორიენტირებული და საზოგადოებრივად სამართლიანი ჯანდაცვის სისტემა; აქცენტი დაავადების პრევენციაზე უნდა გადავიტანოთ. ადამიანებს უნდა მიეცეთ რეალური შესაძლებლობა, თავიანთ ჯანმრთელობაზე ავადმყოფობის ჩამოყალიბებამდე და გართულებამდე იზრუნონ. საზოგადოებაში, თითოეულ ადამიანში რეალური ზრუნვით უნდა ჩავნერგოთ რწმენა, რომ ნებისმიერი ადამიანის ავადმყოფობა არა მარტო პირადი, არამედ ყველას საწუხარი და საზრუნავია, რადგან თითოეული ჩვენი თანამემამულის ჯანმრთელობა სჭირდება ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს.

აუცილებელია, დღენიადაგ ვიზრუნოთ ჩვენს გარემოზე, რათა მივაღწიოთ და შევინარჩუნოთ ადამიანის ჯანმრთელობის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორების – ჰაერის, წყლის, ნიადაგის, საცხოვრებლისა და საკვების უსაფრთხოება. ყველა უნდა დავარწმუნოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის აუცილებლობაში და მივეხმაროთ, ვუბიძგოთ ამ წესის დაცვისკენ. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის ამ პრობლემასთან მარტო არ არის. მის გვერდითაა მთელი სახელმწიფო. არც ერთი ადამიანი არ უნდა დავკარგოთ გაუმართავი ჯანდაცვის სისტემის, უხარისხო სამედიცინო მომსახურების, გულგრილობის, უსახსრობის გამო. ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს მომავალი თაობა. უნდა გადავარჩინოთ ყველა სიცოცხლე, რომლის გადარჩენაც შესაძლებელია, რაც დღეს ვერ ხერხდება.

სახელმწიფო ჯანდაცვითი გარანტიები უნდა გახდეს მართლაც საყოველთაო და სამართლიანი ნებისმიერი მოქალაქის მიმართ: მოქალაქეს, რომელიც დღეს დასაქმებასთან დაკავშირებულ კორპორატიულ დაზღვევას ფლობს და შესაძლოა, ხვალ სამუშაოს გარეშე დარჩეს, არ შეიძლება დაუყოვნებლივ არ მიენიჭოს უფლება, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურების იმავე პაკეტით, რაც საყოველთაო პროგრამითაა გათვალისწინებული, რათა მას სამუშაოს დაკარგვასთან ერთად ჯანმრთელობის დაკარგვის რისკიც არ გაეზარდოს.

აუცილებლად უნდა გაძლიერდეს პირველადი ჯანდაცვა. დეკლარატიული დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი რგოლის მიმართ ბოლოს და ბოლოს უნდა შეიცვალოს! აქცენტი რეალურად უნდა გაკეთდეს დაავადებათა ადრეულ სტადიაზე

გამოკვლევასა და მკურნალობაზე, რაც პაციენტისთვისაც უმჯობესია და ქვეყნის ეკონომიკისთვისაც;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის ექიმებს - მოსახლეობისთვის პირველი ზოგადი საექიმო დახმარების გაწევის სპეციალისტებს, რათა მათი სამუშაო პირობები, მოტივაცია რეალურად შეესაბამებოდეს იმ დიდ ამოცანას, რომელსაც მათ ჯანდაცვის სისტემა აკისრებს და რა შედეგსაც მათგან მოვითხოვთ. რეალურად უნდა დავაფასოთ ამ პროფესიონალების მძიმე შრომა, განსაკუთრებით სოფლად;

ამბულატორული პროფილის დიაგნოსტიკურ-სამკურნალო დახმარების გაძლიერების პარალელურად უნდა შეიქმნას და დაიხვეწოს მოსახლეობის მედიკამენტური საშუალებებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი სქემები, რათა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი უწამლობით მიშვებული ავადობისა და თვითმკურნალობის მიზეზით გამოწვეულ მძიმე შედეგს. ხოლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წამლების ფასების დადგენა-რეგულირება უნდა მოხდეს საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებით.

ჯანდაცვის სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრები და მათი მაღალი კვალიფიკაცია. ამისათვის აუცილებელია სათანადო ყურადღება და ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან - თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისი საბაზისო და შემდეგ უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღების საშუალება, დღევანდელობის შესაბამისი სამუშაო გარემო და ანაზღაურება, რომელიც, ელემენტარულად, სხვისი სატკივარის გაზიარებისა და ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემს მედიკოსებს.

სახელმწიფო თავისი მატერიალური შესაძლებლობისა და სამედიცინო ქსელის პოტენციალის ფარგლებში სრულად დაეხმარება მათ, ვისაც თვითონ არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჯანმრთელობა. სოციალურად მგრძნობიარე ფენები: ბავშვები, პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმუშევრები, ომის ვეტერანები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლები, სოციალურად დაუცველი პირები, უზრუნველყოფილი იქნებიან ქვეყანაში განხორციელებადი სრული სამედიცინო მომსახურებით (ამბულატორული სამედიცინო დახმარებიდან დაწყებული – სტაციონარულით დამთავრებული, სამედიცინო ჩვენებით აუცილებელი მედიკამენტების ჩათვლით).

აუცილებელია ჯანდაცვის სისტემაში მოქცეული სახელმწიფო სახსრების რაციონალური მართვა, რათა ეს სახსრები არ ემსახურებოდეს ადამიანთა სხვა, არასამედიცინო ინტერესებით მოტივირებულ ჯგუფებს და მეტმა სიკეთემ მიაღწიოს მოსახლეობამდე. მეტი სამედიცინო მომსახურება, მკურნალობა, წამალი შეხვდეს პაციენტს, რომელიც ამას საჭიროებს. ეს გამოწვევა ცალსახად გულისხმობს ჯანდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესებას, სამედიცინო დახმარების ფასწარმოქმნის მოწესრიგებას, სამკურნალო საქმის წარმოებისა და წამლის ხარისხის სრულყოფას, სამედიცინო კადრებისა და სამედიცინო დაწესებულებების ქსელის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების მოწესრიგებას.

სასურსათო უსაფრთხოება

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს და დაიცვას მოქალაქის უფლება, მოიხმაროს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და სასარგებლო კვების პროდუქტები. საქართველოს მოსახლეობის 2/3 ხელმოკლეობის გამო კვების დეფიციტის პირობებშია. ბავშვთა კვების უზრუნველყოფა ცილოვანი, პექტინშემცველი, ვიტამინური საკვებითა თუ რძით პრაქტიკულად არ ხორციელდება. ბიო-პროდუქტების უნიკალური სანედლეულო ბაზა გამოუყენებელია. ამის გამო თვალნათელია ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიში ტენდენციები, მაგალითად, ორსულებსა და ბავშვებში სიკვდილიანობის მატება.

- ჩვენ უნდა ვუზრუნველვყოთ ქვეყნის მოსახლეობა საკმარისი და ხარისხიანი სურსათითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით;
- უნდა დაწესდეს ქმედითი კონტროლი სურსათისა და კვების პროდუქტის ხარისხზე;
- ქვეყანაში უნდა აიკრძალოს როგორც გენმოდიფიცირებული, ისე დაბალი ხარისხის, მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტის იმპორტი.

ბავშვთა პრობლემები

სამარცხვინოა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში, 4 მილიონიან ქვეყანაში ბავშვთა სიღარიბის და შიმშილის პრობლემა დგას. საქართველოს, მიუხედავად ეკონომიკური პრობლემებისა, აქვს იმის რესურსი, რომ ქვეყანაში 150,000 ბავშვი არ შიმშილობდეს. საქართველოში ყოველი მე-5 ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. უკონტროლოა ბავშვთა შრომის მდგომარეობა - უკიდურესი გაჭირვების გამო უამრავ ბავშვს უწევს ფიზიკური შრომა, რაც ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

ხშირია ბავშვებზე ძალადობის შემთხვევები როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთ და აგრეთვე სკოლებში. ამ და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა უნდა შეიქმნას ბავშვთა დახმარების 350 მილიონ ლარიანი სახელმწიფო ფონდი. სიღარიბის დაძლევის გარდა, ფონდიდან უნდა გამოიყოს თანხა რომელიც მოხმარდება ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ კამპანიას.

უნდა გამკაცრდეს კანონმდებლობა ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ და, ამავე დროს, ძალადობის შემთხვევებზე შესაბამის უწყებებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური და ოპერატიული რეაგირება. სკოლებში უნდა გაძლიერდეს ბავშვთა უსაფრთხოება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული პროგრამების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, ოჯახების ეკონომიკურ, სოციალურ და ფინანსურ გაძლიერებას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ბავშვების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

მრავალშვილიანი ოჯახი უნდა იყოს სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი.

ნარკომანიის პრობლემა ყველას ეხება!

ნარკომანიის პრობლემა დღეს ეროვნული უსაფრთხოების დონის პრობლემად იქცა. საქართველოში ნარკოტიკებზე მოთხოვნის შესამცირებლად განხორციელებული ღონისძიებები მეტად მწირი და არაეფექტურია: პრაქტიკულად არ ხორციელდება ფართომასშტაბიანი პირველადი პრევენციული ღონისძიებები, ნარკოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს არც ერთი სრულფასოვანი სარეაბილიტაციო დაწესებულება.

რაც უნდა ეფექტურად მუშაობდეს სამართალდამცავი სტრუქტურები ნარკოტიკების მოწოდების შეზღუდვაზე, თუ არ განვითარდა ნარკომანიის პროფილაქტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის სამსახურები (ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირება), ნარკომანიის გავრცელების შემცირება ვერ მოხდება. ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ყველა სახის ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია - ამ ადამიანებს მკურნალობა სჭირდებათ და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება. წამალდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა. წამალდამოკიდებული პირის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოხვედრა და ამასთან დაკავშირებული თავშეკავება (თუნდაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში) არ იძლევა სასურველ შედეგს.

მკურნალობის ხელმისაწვდომობა - აუცილებელია საქართველოში წამალ-დამოკიდებულთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის სპეციალიზებული ცენტრების ქსელის შექმნა. უმჯობესი იქნება, მოხდეს მცირე ზომის სარეაბილიტაციო ცენტრების ამოქმედების წახალისება. ამისათვის საჭირო იქნება სახელმწიფოს მიერ სარეაბილიტაციო ცენტრების მხარდაჭერა.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მხოლოდ აკრძალვით პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება, ამიტომ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს არაჯანსაღ საზოგადოებაში, ანუ ნარკოტიკებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა გარემოცვაში თავდაცვა. ეს კი ნარკომანიის პირველადი პრევენციის პრეროგატივაა. საჭიროა ფართო ანტინარკოტიკული საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ახალგაზრდებისთვის ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი პრევენციული პროგრამების შექმნა და დანერგვა.

დემოგრაფია

საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ვიზრუნებთ, რომ შევქმნათ არა მარტო ზოგადი პირობები, არამედ განსაკუთრებული მატერიალური სტიმულები ერის გამრავლებისთვის, ახალშობილთა აღზრდისა და მოვლისთვის, ქალთა ჯანმრთელობის დასაცავად, ახალგაზრდა ოჯახების დასახმარებლად.

ხელისუფლების მხრიდან სისტემატურად უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, რომ ქვეყანა დეპოპულაციის საფრთხის წინაშეა, ერი უნდა გამოფხიზლდეს, გააცნობიეროს ეს პრობლემა, დაირაზმოს, იგრძნოს პასუხისმგებლობა, რათა არ გადავშენდეთ.

დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ეკონომიკის განვითარებას, დასაქმებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას, რაც ქვეყნის გარეთ მოსახლეობის მიგრაციის შემცირებისა და ქვეყანაში მცხოვრებთა მძლავრი, მრავალშვილიანი ოჯახების შექმნის წინაპირობაა. სახელმწიფოს განსაკუთრებულიზრუნვისობიექტიუნდაიყოსმარტოხელადედებიდამრავალშვილიანი ოჯახები. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყვნენ და პრიორიტეტად იქცეს დემოგრაფიულად დაზიანებული რეგიონები.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს უნიკალური მაღალმთიანი რეგიონის გაუკაცრიელების პროცესის შეჩერებას, მთის გადარჩენას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას და მთაში მცხოვრები ოჯახების წახალისებას.

დემოგრაფიულ პროცესებზე დამანგრეველ გავლენას ახდენს ჩვენი თანამემამულეების საზღვარგარეთ მასიური გასვლა სამუშაოს საძებნელად. უმეტეს შემთხვევაში ეს ახალგაზრდა მამაკაცები და ფერტილობის ასაკში მყოფი ქალები არიან, რომლებიც ვეღარ ქმნიან ოჯახს ან უკვე შექმნილ ოჯახებს ტოვებენ ლუკმა-პურის საშოვნელად. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ მათი დაბრუნების და საქართველოში დასაქმების საკითხი ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს.

პროექტი „ქართული კერა“

აუცილებელია ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება – წელიწადში მინიმუმ 100 ათასი კვ. მ ფართით ახალგაზრდა ოჯახების დაკმაყოფილება. ამისათვის უნდა შეიქმნას არამომგებიანი სახელმწიფო ფონდი, რომელსაც საბრუნავი სახსრები, 150 მილიონი ლარის უპროცენტო სახელმწიფო სესხის სახით და მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ გადაეცემა. ამრიგად, ახალგაზრდა ოჯახი საცხოვრებელი ფართის მხოლოდ თვითღირებულებას, ანუ დღევანდელი საბაზრო ფასის მესამედს გადაიხდის. შემოსული თანხა კვლავ შეავსებს ფონდს შემდგომი 100 ათასი კვ. მ-ის ასაშენებლად, რომელიც კვლავ ახალგაზრდა ოჯახებს დაეხმარება.

ქალთა პრობლემები

ნინო ბურჯანაძე უკვე ათწლეულებია საქართველოში და პოსტ-საბჭოთა რეგიონში ქალთა უფლებების ერთ-ერთი მოწინავე დამცველია. ერთიანი საქართველოს ლიდერის დამსახურებაა იმ პოზიტიური ნაბიჯების დიდი ნაწილი, რომელიც საქართველომ ამ მიმართულებით გადადგა. ბურჯანაძე და მისი გუნდი პირველ რიგში იზრუნებს რომ აღმოფხვრას ქალთა მიმართ ძალადობა.

ეს საკითხი უნდა მოგვარდეს არა მხოლოდ კანონის გატარებით, არამედ მუდმივი და ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო მუშაობით, ქალთა ეკონომიკური მდგომარეობისგაუმჯობესებითდამათეკონომიკურდასოციალურდამოუკიდებლობაზე ზრუნვით.

ქვეყანაში მომატებული ძალადობის ფაქტების, მოსახლეობის მხრიდან შემგუებლობის უმძიმესი ტენდენციის გათვალისწინებით, შემუშავებული იქნება საგანგებო საკანონმდებლო ცვლილება ძალადობის დამალვის ფაქტებზე. ხოლო პოლიციის ან სხვა შესაბამისი სტრუქტურების გულგრილობა დაისჯება განსაკუთრებული სიმკაცრით.

საჭიროა გაძლიერდეს მცირე და საშუალო ბიზნესი და წახალისდეს მათში ქალთა ჩართულობა, განსაკუთრებით სოფლად. ასევე აუცილებელია დამკვიდრდეს ადექვატური დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური აქტივობის მიმართ. ერთის მხრივ, უნდა მოიხსნას ხელოვნური ბარიერები. ამავდროულად, საჭიროა გვქონდეს რაციონალური დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეების კარიერული განვითარების მიმართ. მთავარი მამოძრავებელი პრინციპი ყველა საქმიანობაში უნდა იყოს პროფესიონალიზმი, და არა ფასადური და ხელოვნური სქესის მიხედვით დაწინაურების პოლიტიკა, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება კონტრ-პროდუქტიული.

სამოქალაქო ინტეგრაცია

ჩვენი პროგრამის ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო საკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რომელიც ეთნიკურ მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობით.

ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა შევუქმნათ თანაბარი პირობები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისთვის. სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა დაისახოს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფას. უნდა გამოირიცხოს რაიმე ტიპის დისკრიმინაცია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის მიმართ. სახელმწიფო ყველა მოქალაქის დამცველი უნდა იყოს.

სასწრაფოდ უნდა იქნეს შემუშავებული რეალურად ეფექტური პროგრამა სახელმწიფო ენის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სასწავლებლად. ამ რეგიონებში ჩვენი მოქალაქეების უმეტესობამ იცის მხოლოდ მშობლიური ენა. რუსული ბევრმა აღარ იცის, ხოლო ინგლისურიც ჯერ ყველას არ უსწავლია. იქმნება ელემენტარული კონტაქტის პრობლემა. ამ პრობლემის მოგვარების გარეშე, საუბარი ეთნიკური უმცირესობების სრულ ინტეგრაციაზე არის ფარსი. სახელმწიფო ენის შესწავლის უზრუნველყოფით სახელმწიფო მისცემს ჩვენ თანამემამულეებს უმაღლესი განათლების და დასაქმების შესაძლებლობას.

თანაბარი შესაძლებლობები უნარშეზღუდულთათვის!

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს უნარშეზღუდული მოქალაქეების მიმართ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ მიეცეთ სრულფასოვანი ცხოვრების საშუალება; მოხდეს მათი სრული ინტეგრაცია საზოგადოებაში; სულიერი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სისავსემ და მრავალფეროვნებამ გააქარწყლოს შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული წუხილი და სოციალური დისკომფორტი.

იძულებით გადაადგილებული პირები (ლტოლვილები)

საქართველოში 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა. სასწრაფოდ შესაცვლელია ე.წ. „ქულების" პრინციპი, რომელსაც დევნილ საზოგადოებაში დიდ უსამართლობად მიიჩნევენ. ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ერთსა და იმავე ოჯახს ორჯერ ან მეტჯერ აკმაყოფილებს საცხოვრებელი ფართით.

არსებული სისტემა ასევე აკმაყოფილებს ფართით იმ დევნილებს, რომლებსაც უკვე თავიანთი სახსრებით აქვთ შეძენილი საცხოვრებელი; ამგვარი მიდგომა სამართლიანია, თუმცა ეს არ უნდა ხდებოდეს უსახლკაროდ დარჩენილი დევნილების ხარჯზე. არცთუ იშვიათად, სისტემა განუსაზღვრელი ვადით აჭიანურებს მათ დახმარებას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ამიტომაც არის არსებული სისტემა ასეთი არაეფექტიანი. მეტიც, იგი აღვივებს ნეპოტიზმსა და კორუფციას.

შესაძლებელია დევნილების გეოგრაფიული პრინციპით დაკმაყოფილება; მაგალითად, ჯერ გალის რაიონის დევნილები, შემდეგ - ოჩამჩირელები და ა.შ. ამით უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხერხდება საცხოვრებელი ფართების განაწილება, ვიდრე ახლა არსებული ქაოსური მექანიზმითა და კორუფციის წყაროდ მიჩნეული ქულების პრინციპით.

სახელმწიფო იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე პასუხისმგებლობას 45-ლარიანი დახმარებით პასუხობს. ეს დამამცირებელია ჩვენი დევნილებისთვის. მივესალმებით ჯანდაცვის სოციალური სამსახურის სამუშაოს მოძიების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც სპეციალურად დევნილთათვის შეიქმნა. თუმცა ეს სისტემა არ მუშაობს და უნდა შეიცვალოს.

აუცილებელია დევნილთა კლასიფიკაცია განათლების, პროფესიისა და გამოცდილების მიხედვით, მათი გადამზადება და შემდეგ - შესაბამისი სამუშაო ადგილების გამოყოფა. სანამ ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, გარდაუვალი ამოცანაა ჩვენი თანამოქალაქეების სრული სოციალური რეინტეგრაცია, რაც 45-ლარიანი დახმარებით ვერ მოხერხდება. ამისთვის, პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს მათი უსახლკარობისა და უმუშევრობის პრობლემები.

მცოცავი ოკუპაცია

მცოცავ ოკუპაციაზე ყველა საუბრობს, მაგრამ არავის აქვს ქმედითი ნაბიჯების გადადგმის არც გამბედაობა და არც გამოცდილება. სახელმწიფო არ უნდა იყოს კონფლიქტის მაპროვოცირებელი, თუმცა ე.წ. „სტრატეგიული მოთმინება" დანაშაულია.

აუცილებელია ე.წ. საზღვარზე გაძლიერდეს კონტროლი. ჩვენმა ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან ვეღარავინ გაიტაცონ. კატეგორიულად არარის საკმარისი პერიოდულად ჩვენი მეგობრებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წერილების გზავნა.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააააქტიუროს დიპლომატიური ძალისხმევა ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების დღის წესრიგის პრიორიტეტების მხრივ. რუსეთის ფედერაციასთან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკების პროცესის დაწყებისა და პროტესტის აქტიური ფორმის გარეშე მცოცავი ოკუპაციის შეჩერება შეუძლებელია. ამავდროულად, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ყველა მრავალმხრივი ფორმატის შესაძლებლობები.

ტერიტორიული მთლიანობა

აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის დაწყება. მხოლოდ ასეთ დიალოგს შეუძლია ნდობის აღდგენა. აფხაზები და ოსები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ისინი არასოდეს იქნებიან სამხედრო და საომარი მოქმედებების სამიზნეები. საქართველო მათთვის მიმზიდველი უნდა გახდეს ევროპული ტიპის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემითა და თანამედროვე,

ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკით. არსებული პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ თანმიმდევრული ნაბიჯებით შეიძლება. კონფლიქტების მოგვარების უმთავრესი პრინციპია ორიენტაცია არა იმაზე, რაც გვაშორებს, არამედ იმაზე, რაც გვაკავშირებდა და რაც მომავალში დაგვაკავშირებს. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თემა უნდა დაუბრუნდეს ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ფორმატების დღის წესრიგის პრიორიტეტებს.

ასევე, მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებები რუსეთთან; სახალხო დიპლომატიის, ყველა სახის კონტაქტის (ადამიანური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო, მედია) წახალისება აფხაზურ და ოსურ მხარეებთან. არაღიარების პოლიტიკა არის აუცილებელი მინიმუმი, მაგრამ კატეგორიულად არასაკმარისი.

საგარეო პოლიტიკა

ძირითადი პრიორიტეტები

საქართველო მდებარეობს რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც იკვეთება მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები. ამავდროულად, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ სცდება გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებს.

საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ საქართველო არ გახდეს დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონი. ქვეყნის უმთავრესი ამოცანები - განამტკიცოს ქვეყნის სუვერენიტეტი, უზრუნველყოს მოქალაქეების შიდა და გარე უსაფრთხოება და შექმნას სახელმწიფოში საყოველთაო კეთილდღეობის საფუძვლები - პირდაპირ არის დაკავშირებული გონივრული და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებასთან.

ამაზევეა დამოკიდებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპი უნდა იყოს ნებისმიერი ავანტიურისტული ქმედების თავიდან აცილება და პრევენციული დიპლომატიის გაძლიერება. დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მკვეთრად არის შესუსტებული. საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს რუსეთთან მოლაპარაკებებზე საქართველოს ინტერესების დასაცავად.

ამავდროულად, ისტორიულ მინიმუმამდეა შემცირებული ურთიერთობები ყველა სტრატეგიულ პარტნიორთან. ჩვენი მეგობარი სახელმწიფოებისთვის აღარ ვართ ქეშმარიტი პარტნიორები. პარტნიორობა შემოიფარგლება მათ მიერ გაწეული დახმარებით, ხოლო საქართველოს მხრიდან - ფასადური და ფუჭი განცხადებებით. საქართველოს მომავალი ხელისუფლება უნდა იყოს მდგრადი და პროგნოზირებადი პარტნიორი თავისი მეგობარი ქვეყნებისთვის. აუცილებელია ქვეყანა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის სუბიექტი და არა ობიექტი.

უნდა გაღრმავდეს ურთიერთობები ევროკავშირთან, გაგრძელდეს თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან და ჩვენი მონაწილეობა ისეთ მისიებში, როგორიცაა „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები ავღანეთში“. ამავდროულად, საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეყოს გამბედაობა, აწარმოოს პირდაპირი, ორმხრივი მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციასთან. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები, ჩვენი აქტიური ჩართულობის გარეშე, რუსეთთან ურთიერთობებს ვერ მოგვიგვარებენ.

სტრატეგიული პარტნიორობა

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არ აქვს ფუფუნება კონფრონტაციაში იყოს რომელიმე ქვეყანასთან ან რომელიმე ალიანსთან. ჩვენი ინტერესები არ ეწინააღმდეგება არცერთი სახელმწიფოს და არცერთი ალიანსის კანონიერ, საერთაშორისო სამართლის შესაბამის ინტერესებს.

ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის რესურსი. რაც შეეხება ნატოს - სტრატეგიული თანამშრომლობა უნდა გამოიხატებოდეს საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობით. ჩვენ უნდა ვიყოთ მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის არა მხოლოდ ბენეფიციარები, არამედ აქტიური მონაწილეები.

2020 წლის მოწვევის პარლამენტში ნატოში გაწევრიანებაზე საუბარი არარეალისტურია და ამის შესახებ პარტიების უმეტესობა ელექტორატის მოზიდვის მიზნით, პოპულისტურად საუბრობს. მნიშვნელოვანია მაქსიმალური სიახლოვე ევროკავშირთან და ევროპულ სტანდარტებთან. საბოლოო მიზანი კი უნდა იყოს ევროკავშირში გაწევრიანება, ხოლო ჩრდილოატლანტიკურ სივრცესთან თანამშრომლობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე აგებული.

საქართველოსნაირი ქვეყნისთვის საგარეო კურსის პოლარიზაციის პოლიტიკაზე აგება დამღუპველია. ჩვენს ეროვნულ ინტერესებად მიგვაჩნია მეზობელ სახელმწიფოებთან მაქსიმალურად თანამშრომლობის პრინციპებზე აგებული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ამ მხრივ, საქართველოს უმძიმესი გამოწვევები აქვს რუსეთთან. ჩვენი პროგრამა მინიმუმია სრულად გავანეიტრალოთ კონფრონტაციული რეჟიმი და გამოვრიცხოთ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შესაძლებლობა. შემდგომ ეტაპზე უნდა შევძლოთ რუსეთთან ურთიერთპატივისცემაზე აგებული მოლაპარაკებების წარმოება, მათ შორის უმთავრეს - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე.

ევროკავშირი

დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა მცირდება. მეტიც, ქვეყნის არაფორმალური, ფეოდალური მმართველობა ასოცირების ხელშეკრულებასაც საფრთხეს უქმნის. ბევრი ლაპარაკის მიუხედავად, ქვეყანას ევროკავშირის წევრობაზე განაცხადიც კი არა აქვს ჯერ შეტანილი.

ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები. სახელმწიფოში უნდა შეიქმნას რეალური დემოკრატიული მართვის სისტემა ხელისუფლების განაწილების რეალური პრინციპით. არ არის საკმარისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. აუცილებელი პირობაა ამ კანონების რეალურად ამოქმედება. ევრო რეგულაციების ჯერ ფურცელზე ასახვა და მხოლოდ შემდეგ მის შესრულებაზე ფიქრის დაწყება ჩვენი პარტნიორების შეურაცხყოფაა და „ერთიანი საქართველოსთვის“ - კატეგორიულად მიუღებელი. ამ ეტაპზე უმთავრესი პრიორიტეტია სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის აუზი

სამხრეთ კავკასიაში ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია მეზობელ სახელმწიფოებთან არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და მისი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს ქვეყნის საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის დასრულება.

სამარცხვინოა, რომ დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე, ოთხი მეზობელი სახელმწიფოდან მხოლოდ ერთთან (თურქეთთან) გვაქვს საზღვრის საკითხი დახურული. ეს პრობლემა დაჩქარებულიწესითარისმოსაგვარებელიპირდაპირიმოლაპარაკებებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. ამ საკითხის მოუგვარებლობა აფერხებს ჩვენს მეზობლებთან სრულფასოვანი ურთიერთობების გაღრმავებას.

შავის ზღვის აკვატორიასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მართალია შავი ზღვა დახურული ზღვაა, მაგრამ მასზე, გარდა სანაპირო სახელმწიფოებისა, ვრცელდება სხვა სახელმწიფოების ინტერესები. ჩვენი პოლიტიკით უნდა ვესწრაფოდეთ შავი ზღვის მხოლოდ მშვიდობიანი და კონვენციური მიზნებით გამოყენებას.

გასათვალისწინებელია შავი ზღვის არა მხოლოდ პოლიტიკური კომპონენტი, არამედ ენერგორესურსებთან და კომუნიკაციებთან დაკავშირებული ინტერესებიც. ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ შავი ზღვის, როგორც უსაფრთხო თანამშრომლობის სივრცედ ჩამოყალიბებას. საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი როლი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში.

ასევე უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა სანაპირო სახელმწიფოებთან შავი ზღვის ეკოსისტემის გადასარჩენად და დასაცავად. თანაბრად მნიშვნელოვანია შავ ზღვაში ნაოსნობისა და რეწვის საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიური თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დროშით ცურვა პრესტიჟული იყოს არა მხოლოდ ქართული გემებისთვის, არამედ სხვა სახელმწიფოს ხომალდებისთვის.

ეროვნული უსაფრთხოება

გამორიცხულია ჩვენი უმთავრესი, ტერიტორიული პრობლემების მოგვარება სამხედრო გზით - ასეთი მიდგომა უნდა იყოს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ამოსავალი წერტილი.

შესაბამისად, ჩვენი პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს სამშვიდობო ინიციატივებს. ძალა უკიდურესი აუცილებლობის დროს და მხოლოდ თავდაცვისთვის უნდა გამოვიყენოთ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება შავი ზღვის აუზსა და კავკასიაში. ამისთვის საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში მონაწილეობით.

საქართველოს უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ საქართველოს ურთიერთობა მეზობლებთან, არამედ მეზობელ სახელმწიფოებს შორისაც. ამდენად, საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში. უნდა გამოირიცხოს ირგვლივ არსებული კონფლიქტების პროლიფერაცია საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველომ, როგორც საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის წევრმა, უნდა გააგრძელოს შეიარაღებული ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა ამ მიმართულებით დამატებით სირთულეებს ქმნის. უნდა გაძლიერდეს კონტროლი ეგრედ წოდებულ საზღვრებზე და გაღრმავდეს თანამშრომლობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის, ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. საქართველო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში.

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება კიბერ-უსაფრთხოების სფეროში. საქართველომ უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან ამ მიმართულებით, გაზარდოს შიდა ინვესტიცია შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საკადრო რესურსის განვითარებისთვის. სახელმწიფომ უნდა შეძლოს დაიცვას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა კიბერ-თავდასხმებისგან და, ამავდროულად, შეუნარჩუნოს თავის მოქალაქეებს პირველად მომსახურებებზე და გლობალურ ინტერნეტზე შეუფერხებელი წვდომა.

თავდაცვის ორგანიზაცია

პირველ რიგში, უნდა შემუშავდეს თავდაცვის თანამედროვე და რეალისტური დოქტრინა, რომელიც გაითვალისწინებს შეიარაღებული ძალების მშენებლობისას საქართველოს ბუნებრივ პირობებსა და საჭიროებებს. ამ ეტაპზე პრიორიტეტულია: - ქართული ჯარის წვევამდელთა სისტემიდან საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლა, რაც აქტიური რეზერვის ფონზე, ჯარის გაჯანსაღების გარდა, უამრავ ადამიანს დაასაქმებს.

ომში დაღუპულები, ვეტერანები და მათი ოჯახები სახელმწიფომ უნდა დააფასოს იმისდა მიუხედავად, თუ სად და რომელი პრეზიდენტის დროს იბრძოდნენ. ყველა, ვინც აქ, საქართველოში იცავდა სამშობლოს, ისევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, როგორც უცხოეთში მომსახურე სამხედროები.

ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის სოციალური გარანტიების შექმნა სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქნას აღიარებული.

სხვა საკითხები

განათლება, მეცნიერება, კულტურა

ასწლეულების განმავლობაში საქართველოს მსოფლიო იცნობდა მეცნიერებით, ხელოვნებით, უძველესი და უნიკალური თვითმყოფადი კულტურით. დამოუკიდებლობის 30-მა წელიწადმა ამ თვალსაზრისით, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. ქვეყნის ეროვნული ფასეულობების, მისი ბუნებრივი პოტენციალისა და ხალხის შემოქმედებითი ნიჭის წახალისების გარეშე საქართველო დაკარგავს იმ უნიკალურ ადგილს, რომელიც მას რეგიონსა და მსოფლიოში დამსახურებულად ეკავა.

მცდარია მოსაზრება, თითქოს პატარა სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, კონსერვატორია, ძლიერი საგანმანათლებლო სისტემა. განათლების სისტემის ღირებულების მთავარ სუბიექტს უნდა წარმოადგენდეს მასწავლებელი და მოსწავლე. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ჯეროვნად უნდა დააფასოს მათი შრომა. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყველაზე ღირებული ინვესტიცია მომავალი თაობის განათლებაში ჩადებული სახსრებია.

„ერთიანი საქართველო“ ყველაფერს იღონებს, რათა,

უმაღლეს სასწავლებლებში:

- პოსტ-პანდემიურ პერიოდში, სახელმწიფო დაეხმაროს სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში.
- მუნიციპალური ტრანსპორტი გახდეს სტუდენტებისთვის უფასო.
- სტატუს შეჩერებულ სტუდენტებს მიეცეთ გამოცდების ჩაბარების უფლება და გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეექმნათ სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
- უნივერსიტეტებს დაუბრუნდეს რეალური ავტონომია.
- შეიქმნას სპეციალური ფონდი უცხოეთში სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნის მიზნით. საგანმანათლებლო კრედიტს, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მთლიანად დაფარავს ფონდი.
- გაუქმდეს ეროვნული გამოცდები და, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, აბიტურიენტები საატესტატო გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ნაბიჯი სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტისთვის, ასევე უნივერსიტეტებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მსოფლიო კლასის განათლების სისტემის შექმნის გზაზე ეს აუცილებელი და ეფექტიანი ნაბიჯი იქნება, ხოლო განათლების სამინისტროს ბიუჯეტს გამოუთავისუფლებს მილიონობით ლარს.

საშუალო და დაწყებით საფეხურზე:

- სოფლებში აღდგეს საშუალო სკოლები და ბაგა-ბაღები.
- სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს აღუდგეთ პედაგოგის სტატუსი.
- საყოველთაო საშუალო განათლება იყოს სავალდებულო.
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლების ხარისხს.
- განხორციელდეს პედაგოგთა ანაზღაურების რეფორმა. პედაგოგების მინიმალური ხელფასი უნდა იყოს 1600 ლარი.

პროფესიული განათლების მიმართულებით:

- სახელმწიფომ დააფინანსოს ორწლიანი პროფესიული კოლეჯები, რომლებშიც ახალგაზრდები შეძლებენ პრაქტიკული სპეციალობის, ხელობის შესწავლას საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ.
- კერძო სექტორთან ერთად შესწავლილი იქნას ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები და დაიგეგმოს შესაბამისი სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამები დასაქმების რეალური პერსპექტივით.
- განხორციელდეს პროგრამა „არცერთი მოქალაქე – პროფესიის გარეშე“ და მის ფარგლებში დაიწყოს ყველა ასაკის მოქალაქეთა თანამედროვე პირობებისთვის აუცილებელი პროფესიებითა და კომპეტენციებით აღჭურვა.
- დაარსდეს „ღია უნივერსიტეტი“, რომელშიც უფროსი ასაკის მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, მოქნილი გრაფიკით მიიღონ თანამედროვე განათლება და საუნივერსიტეტო დიპლომი.

სპორტი

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფიზიკური კულტურის და სპორტის მხარდაჭერაზე ბავშვებსა და ახალგაზრდებში. სპორტული ფედერაციების დაფინანსება უნდა იყოს პრიორიტეტული.

თუმცა, სახელმწიფოს დაფინანსება საკმარისი ვერ იქნება. პარლამენტმა უნდა შეიმუშავოს კანონი რომელიც განსაკუთრებულ პირობებს შეუქმნის ბიზნესს. კომპანიებს რომლებიც დაეხმარებიან სპორტსმენებს უნდა დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები.

„მწვანე“ ენერგეტიკა, ეკოლოგია და რესურსების ყაირათიანი გამოყენება

ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსებით მდიდარი სახელმწიფო არ უნდა ცხოვრობდეს გაჭირვებაში! ჩვენი ქვეყნისთვის ენერგო დაზოგვისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შემუშავება და განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის განვითარება სწორი მიმართულებით და არა კონტექსტიდან ამოვარდნილი და არასწორად გაგებული ევროპული ფასეულობების ან სტანდარტების დეკლარირებით. თავიდან უნდა ავირიდოთ ფასადური პროექტები რომლებიც გადასახადის გადამხდელებს და ქართულ ეკოლოგიას ძვირად დაუჯდება (მაგალითად გორის უღელტეხილზე განლაგებული ქარის წისქვილები). საქართველოში უნდა აიკრძალოს გიგანტური ჰესების მშენებლობა. სახელმწიფო, უპირველესად, საკუთარ მოსახლეობაზე უნდა ზრუნავდეს და მხოლოდ შემდეგ – ქარბ შემოსავლებზე. დასატბორად განწირული სოფლები, ეკლესიები და სასაფლაოები, კერიდან აყრილი ოჯახები ვაჭრობის საგანი არ უნდა იყოს!

- უნდა შეიქმნას „მწვანე ენერგეტიკის“ კონცეფცია, რომლის თანახმადაც საქართველოში ეტაპობრივად დაინერგება ალტერნატიული ენერგიის წარმოება და მიწოდება. მზის, ქარისა და სხვა ბუნებრივი წყაროების მიერ წარმოებულ ენერგიას ფართოდ იყენებენ მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში;
- საბიუჯეტო შენობების ენერგო ხარჯები ამ ეტაპზე დაახლოებით 200 მილიონი ლარია. სპეციალისტების აზრით, ამ ხარჯების 50%-ით შემცირება შეიძლება;

ენერგეტიკა ქვეყნის საწარმოო ძალთა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების საფუძველია. ენერგეტიკა უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, ტურიზმის, ყველა დარგის სტაბილურ ფუნქციონირებას. არ არსებობს სხვა დარგი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ მიმართულებაზე, მათ შორის თავდაცვისუნარიანობაზე. ამიტომ სათბობ–ენერგეტიკული კომპლექსი სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

აუცილებელია ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული რეზერვების შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირება და მოსახლეობის ენერგოშემცველებით მომარაგება. ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის შესამუშავებლად უნდა შეიქმნას მაღალი დონის პროფესიონალებისგან შემდგარი მუდმივმოქმედი სტრუქტურა.

ადამიანის ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების ეფექტურად მართვის გასაძლიერებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სისტემის არსებობა. აქედან გამომდინარე, ცხადად დგება საკითხი საქართველოში არსებული მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების შესახებ, როგორც საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კუთხით.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი კატასტროფულად ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკის სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით. მათგან ძირითადი დამაბინძურებლებია ავტოტრანსპორტი, რომელიც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის საჭიროა გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროს და მასში შემავალი ჰაერდაცვითი საქმიანობის სექტორის მდგრადი განვითარება, რისთვისაც შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები და ძირითადი ამოცანები არის განსაზღვრული:

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სადამკვირვებლო არსებული ქსელის გაფართოება და გადაიარაღება თანამედროვე ხელსაწყოებით;

ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების სტრატეგიის ოპტიმიზაცია (ტექნიკური დათვალიერების, ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაციის, სატრანსპორტო მაგისტრალების საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის გადახედვა).

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს მიღებული კანონი „წყლის შესახებ“ არ იძლევა წყლის რესურსების ეფექტური მართვის საშუალებას. აუცილებელია წყლის რესურსების ადმინისტრაციული მართვის პრინციპის შეცვლა სააუზო მართვის პრინციპით, რამაც უნდა უზრუნველყოს:

1. მოსახლეობის სუფთა წყლით მომარაგება
2. საკანალიზაციო/სანიტარული სისტემების შექმნა ადგილობრივ დონეზე;
3. წყლის ობიექტების დაცვითი ღონისძიებების გატარება;
4. წყლის, როგორც რესურსის შენარჩუნება.
5. სარწყავი და სასმელი წყლით მომარაგების საერთო ეროვნული პროგრამა, არც ერთი სოფელი წყლის მომარაგების გარეშე

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს წყლისა (ზედაპირული, მიწისქვეშა, დაბრუნებადი) და მასთან დაკავშირებული მიწის რესურსების ისეთ ერთობლივ მართვას, რომელიც არ ვნებს ეკოსისტემის მდგრადობას და უზრუნველყოფს მაქსიმალურ სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

აუცილებელია კონფლიქტურ ზონებში წყლის მართვის სისტემების დანერგვა და განხორციელება. მოსაზღვრე სახელმწიფოებთან თანამშრომლობა ტრანს-სასაზღვრო წყლის ობიექტების აღდგენის სახელმწიფოთაშორისი პროგრამების შემუშავებაში და ამ პროგრამების რეალიზაციისათვის მესამე ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციების მოზიდვაში.

დიასპორა

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ჩვენი თანამემამულეების მონაწილეობა ქვეყნის მომავლის არჩევასა და განსაზღვრაში. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ისტორიაში წარმოქმნილი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული ემიგრაცია, თავისი მატერიალური დახმარებით (სხვადასხვა გათვლებით, სულ მცირე, 7 მილიარდამდე ლარი) ინარჩუნებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადობას. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები წლების მანძილზე მოკლებულნი იყვნენ თავიანთ ფუნდამენტურ უფლებას – არჩევანის უფლებას.

- უნდა შეიქმნას პირობები, რათა უცხოეთში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა, სურვილის შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნება და საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენება შეძლონ;
- უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენს თანამემამულეებს ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- დიასპორა აქტიურად უნდა ჩაერთოს ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარების პროცესში;
- უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეების მიმართ სახელმწიფომ ზრუნვა უნდა გამოიჩინოს. მათ ქვეყნის გარეთაც უნდა მიეცეთ საშუალება, ქართული საქმე აკეთონ. ყველგან, სადაც ჩვენი დიასპორა არსებობს, უნდა გაიხსნას „ქართული სახლები“, რომლებიც ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე, აგრეთვე ეკონომიკური პოტენციალისა და ექსპორტის წახალისებაზე იქნება ორიენტირებული.

საგზაო უსაფრთხოება

ბოლო 10 წლის განმავლობაში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად საქართველოში 6608 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო დაზიანება 100 ათასამდე ადამიანმა მიიღო (მათ შორის ათასობით ბავშვმა). ეს ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ყოველი ჩვენგანი კარგავს 2 ახლობელს, ხოლო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ყოველწლიური ზარალი ნახევარ მილიარდ ლარს აღემატება.

გზების უსაფრთხოებისთვის ჯარიმების უსასრულო ზრდა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. საქართველოში საგანგაშო დინამიკის შესაცვლელად აუცილებელია დაიგეგმოს შვედური ეწ. „უსაფრთხო სისტემის მიდგომა“, რომლის თანახმადაც, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დამნაშავე მხოლოდ მძღოლი არ არის. შესაძლო პასუხისმგებლობა უნდა გადანაწილდეს არა მხოლოდ უშუალო მონაწილეებზე, არამედ ისეთ მხარეებზეც, როგორებიცაა:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- ქალაქის მუნიციპალიტეტი.
- შესაბამისი პოლიტიკური პირები.
- ტექ-ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი კომპანიები.
- ავტომობილების მწარმოებლები.

სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს საგზაო ინფრასტრუქტურა მაღალი რისკის შემცველ გზებზე, პირველ რიგში, ქვეყნის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე. ხშირად დაჩქარებული წესით იხსნება გზის დაუმთავრებელი მონაკვეთები, წინასაარჩევნოდ ან სხვა ვიწრო პოლიტიკური მიზნებისთვის. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა იწვევს ავტოსაგზაო შემთხვევებს, რომლებიც ხშირად ტრაგიკულად სრულდება.

ამაზე პასუხისმგებელი მხოლოდ უშუალო მონაწილე ვერ იქნება. ავტოსაგზაო სისტემა საჭიროებს რეფორმას საგზაო უსაფრთხოებაზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღები იმ ორგანოს გამოსაკვეთად, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიონალებით.

შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ და ჩაატარონ სოციალურ-საგანმანათლებლო კამპანიები ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია მძღოლებისა და ქვეითების (განსაკუთრებით ბავშვების) ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტის ფარგლებში.

სასურველია წახალისდეს ავტომოყვარულთა ჩართულობა ამ პრობლემის მოგვარების პროცესში, რათა მათ შეეძლოთ თავიანთი ენთუზიაზმის უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოში რეალიზაცია. „ერთიანი საქართველო“ მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს საავტომობილო ფედერაციასთან. მასთან თანამშრომლობით, „ერთიანი საქართველო“ გეგმავს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სტანდარტების კოდიფიცირებასა და იმპლემენტაციას.

სათამაშო ბიზნესის რეგულირება

აუცილებელია ფიზიკური და ონლაინ-სამორინეების მკაცრ რეგულაციებში მოქცევა.

- უნდა აიკრძალოს სათამაშო ბიზნესის ყველა ფორმის რეკლამირება.
- ონლაინ-სამორინეებში თამაშის მინიმალური დასაშვები ასაკი უნდა გაიზარდოს 18 წლიდან 21 წლამდე.
- ონლაინ სამორინეებში დარეგისტრირების წესი უფრო მკაცრად უნდა დარეგულირდეს, რათა არასრულწლოვნებს მაქსიმალურად შეეზღუდოთ წვდომა.
- სათამაშო ბიზნესის საშემოსავლო გადასახადი უნდა იყოს დიფერენცირებული სხვა სექტორებისგან. მათი გადასახადი უნდა გაიზარდოს 20%-იდან მინიმუმ 50%-ამდე.

სამოქალაქო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები

არსებული არაფორმალური მმართველობის პირობებში სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების საგანგაშოდ გაუმჭვირვალობის პირობებში, ნათლად გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას საქართველოში. „ერთიანი საქართველო“ მხარს უჭერს მათ მაქსიმალურ ჩართულობას ქვეყნის განვითარებაში. დიდია აგრეთვე მათი წვლილი ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბების პროცესში დამოუკიდებლობის 30-წლიან ისტორიაში.

„ერთიანი საქართველო“

არის პოლიტიკური გუნდი, რომელიც ყოველთვის მოქმედებს ქვეყნის სასიცოცხლო და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ, ჩვენ ძალიან ფრთხილად გავცემთ დაპირებებს! ჩვენს პროგრამაში მოყვანილი დაპირებები, ბევრი პარტიის დანაპირებზე ნაკლებად გრანდიოზულია, მაგრამ ეს დაპირებები რეალურია და არა პოპულისტური.

ჩვენ ამ დაპირებებს არჩევნებზე თქვენი გულის მოსაგებად არ გავცემთ. ჩვენ მათ თქვენი მხარდაჭერის შემდეგ პირნათლად შევასრულებთ!

მეგობრებო! გახსოვდეთ, მსოფლიოც და ჩვენი ქვეყანაც ეკონომიკური და სოციალური ქარიშხლის პერიოდში შედის. ამ რთულ ვითარებაში ქვეყანას გამოცდილი და გამბედავი ადამიანები ესაჭიროება ქვეყნის საჭესთან, ისევე, როგორც გემს გამოცდილი კაპიტანი.

მე მაქვს ძალა და გამოცდილება, შევებრძოლო ქვეყნის წინაშე მდგომ გამოწვევებს და დავძლიო ისინი მაღალი რანგის პროფესიონალებთან ერთად მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად.

მე მჯერა, სწორი არჩევანით ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს სამშობლოს და ღირსეულ ქვეყანას ავაშენებთ!

3